პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 126 (9902) | შაბათი, 29 მაისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნომერში:

საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი (1-ლი გვერდი).

საინფორმაციო ცნობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1954 წლის 28 მაისის დილისა და საღამოს სხდომების შესახებ (1-ლი გვერდი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია. — საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის ამხ. **ბ. ჩხეიძის** მოხსენება საქართველოს სსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ (დასასრული, მე-2 გვერდი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ა. [illegible] (მე-2 და მე-3 გვერდი).

საგარეო საქმეთა მინისტრებ[illegible] (მე-3 გვერდი).

ქენევის თათბირის გარშემო (მე-3 გვერდი).

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესია (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

საბჭოთა პრესის დიდმნიშვნელოვანი ამოცანა

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური პარტიის მოწოდებით ფართოდ გაჩაღდა საყოველთაო-სახალხო მოძრაობა სოციალისტური მრეწველობის შემდგომი ზრდისათვის, მასობრივი მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისათვის, სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის. უყელგან ცოცხალი გამოხმაურება და აქტიური მხარდაჭერა ჰპოვა ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის საწარმოების მუშაკთა პატრიოტულმა მოწოდებამ — მოეწყოს სოციალისტური შეჯიბრება შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის, არსებულ საწარმოო ფართობებზე პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის, მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულებას შემცირებისათვის.

შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი გადიდებისათვის ზრუნვა ახლა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მთელი პრაქტიკული საქმიანობის ცენტრშია. ამ ამოცანის განხორციელებაში უდიდესი როლი ეკუთვნის საბჭოთა პრესას, რომელიც პარტიის ყველაზე ძლიერი და შორსმსროლელი იარაღია.

დიდი ლენინი აღნიშნავდა, რომ „ჩვენ პრესა უნდა გადავაქციოთ,— და გადავაქცევთ კიდეც, — სენსაციის ორგანოდან, პოლიტიკური ახალი ამბების შეტყობინების უბრალო აპარატიდან... — მასის ხელახალი ეკონომიური აღზრდის იარაღად, მასსისთვის იმის გაცნობის იარაღად, თუ როგორ უნდა მოვაწყოთ შრომა ახლებურად“. საბჭოთა პრესამ შეიძინა დიდი გამოცდილება ეკონომიური პროპაგანდისა, იმ სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის მასების მობილიზაციისა, რომლებსაც ჩვენი პარტია სახავს. ახლა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით გადაჭრით გავაძლიეროთ პრესის როლი ჩვენი დიადი მშენებლობის ყველა ფრონტზე შრომის მაღალი ნაყოფიერების მიღწევისათვის ბრძოლაში.

ჩვენი გაზეთების ამოცანაა გასაგებად და დამაჯერებლად განმარტონ, რომ თუ შრომის ნაყოფიერება სერიოზულად და განუწყვეტლივ არ გადიდდა, ისე წარმატებით ვერ მივაღწევთ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის მნიშვნელოვან და სწრაფ გაუმჯობესებას. შრომის ნაყოფიერების გადიდება ჩვენი საზოგადოების ძირეული ამოცანაა, რომლის გადაუწყვეტად შეუძლებელია კომუნიზმზე გადასვლა.

გაზეთებსა და ჟურნალებში უნდა იყოს არა ზოგადი მოწოდებანი და დეკლარაციები, არამედ ღრმა, შინაარსიანი სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები, რომლებიც გამოავლინებენ შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვებს, პროპაგანდას გაუწევენ მოწინავე გამოცდილებას, გაამთარახებენ უყურადღებობასა და ჩამორჩენილობას სამეურნეო მშენებლობის ცალკეულ უბნებზე.

ბევრმა გაზეთმა შეძლო სწორად განესაზღვრა თავისი ადგილი საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. მაგალითად, მოლოტოვის საოლქო გაზეთი „ზვეზდის“ ფურცლებზე მკითხველები ხედავენ შინაარსიან სტატიებს, საინტერესო მასალებს, რომლებშიც დასმულია შრომის ნაყოფიერების გადიდების აქტუალური საკითხები.

მაგრამ უნდა ვალიაროთ, რომ ბევრი რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთი ჯერ კიდევ არასისტემატურად და ზერელედ აშუქებს შრომის ნაყოფიერების ზრდის საკითხებს. მოსკოველთა პატრიოტულ თაოსნობასაც კი, რომლითაც საფუძველი ჩაეყარა საყოველთაო-სახალხო მოძრაობას, ზოგიერთი გაზეთის რედაქცია შეხვდა როგორც ხანმოკლე „ამპანიას“. მაგალითად, გაზეთი „ბრიანსკი რაბოჩი“ დასჯერდა მხოლოდ იმას, რომ ამ საკითხს მიუძღვნა მოწინავე სტატია და რამდენიმე ზერელე ინფორმაციული შენიშვნა.

ცნობილია, რომ სახალხო მეურნეობას ახლა მოეპოვება ყველაფერი, რაც საჭიროა შრომის ნაყოფიერების უფრო სწრაფი ზრდის უზრუნველსაყოფად. ჩვენი მრეწველობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა ახლა ემყარება მძლავრ ტექნიკურ ბაზას. პრესის მოვალეობაა ფართოდ და საქმის ცოდნით გააშუქოს ტექნიკის სრულფასოვნად გამოყენების, წარმოების კომპლექსური მექანიზაციის, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების პრაქტიკული დანერგვის საკითხები. მოწინავე ქარხნების, ფაბრიკების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილების პროპაგანდასთან ერთად გაზეთები მოვალენი არიან გაბედულად ამხილონ და გააკრიტიკონ ტექნიკისადმი გულგრილი, უყაირათო დამოკიდებულება, შრომის ორგანიზაციისა და წარმოების ორგანიზაციის ნაკლოვანებანი. პრესის ყურადღების ცენტრში მუდამ უნდა იყოს მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების, საწარმოო სწავლებისა და სოციალისტური შრომის დისციპლინის დანერგვის საკითხები.

სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში წარმოიშობა შრომის ბევრი ახალი, ძვირფასი ხერხი და მეთოდი. მოწინავე გამოცდილების ფართოდ გამოყენება სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეზერვია. ჩვენი გაზეთების ფურცლები ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, უნდა იყოს შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის გაჩაღებული შეჯიბრების მონაწილეთა ყველაზე მახვილი ტრიბუნა.

მკითხველები გაზეთების ფურცლებზე ეძებენ მოწინავე მუშაობის, ინჟინრებისა და ტექნიკოსების, მოწინავე გამოცდილების შემქნელების შინაარსიან კამოსვლებს. პრესაში მონაწილეობისათვის მათი ფართოდ ჩაბმა გაზეთების დონის ამაღლების, შეჯიბრების მსვლელობაზე მათი ზემოქმედების უმნიშვნელოვანესი პირობაა. ამასთან დაკავშირებით ყურადღების ღირსია გაზეთ „სოციალისტიჩესკი დონბასის“ დადებითი თაოსნობა, რომელმაც მუშების, წარმოების მეთაურებისა და მეცნიერთა მთელი რიგი სტატიებით შეძლო ეჩვენებინა, თუ რა მძლავრი რეზერვებია დონეცის აუზში ქვანახშირის ამოღების გადიდებისათვის, შახტებში შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით ამაღლებისათვის.

შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის ბრძოლა ნიშნავს იმას, რომ გადაჭრით აკრიტიკებდე შაბლონურ, ფორმალურ მიდგომას შეჯიბრების ორგანიზაციისადმი, ზოგიერთი სამეურნეო მუშაკის ცდებს — თავი აარიდონ გულმოდგინე მუშაობას ახლის, მოწინავის შესწავლისა და დანერგვისათვის, ბოლომდე მიგყავდეს დაწყებული საქმე. ჯერ კიდევ ხშირია ფაქტები, როცა გაზეთები, გამოაქვეყნებენ რა ცნობას ამა თუ იმ საწარმოს, კოლმეურნეობის, მტს-ის საინტერესო თაოსნობის შესახებ, მალე ივიწყებენ მას, თვალყურს არ ადევნებენ, თუ როგორ ინერგება ეს თაოსნობა.

შრომის ნაყოფიერების გადიდება უმთავრესი პირობაა კომუნისტური მშენებლობის იმ ისტორიული ამოცანების წარმატებით შესრულებისა, რომლებიც დასახულია პარტიის მიერ. პარტიული კომიტეტები პრესისადმი ხელმძღვანელობის ყოველდღიური გაუმჯობესებით მიაღწევენ იმას, რომ თვითეული ნაბეჭდი გაზეთი — საოლქოდან საქარხნო მრავალტირაჟიან გაზეთამდე — გახდება შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის შეჯიბრების მილიონობით მონაწილის ფართო ტრიბუნა.

„პრავდის“ 28-V მოწინავე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარდგინებით ნავთობის მრეწველობის საერთო-საკავშირო სამინისტრო გარდაქმნა სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ და საპირიდ ცნო შეიქმნას აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში ნავთობის მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო და გადაეცეს მას საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სიის მიხედვით.

(საკდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1954 წლის 28 მაისის დილის სხდომის შესახებ

28 მაისს, დილის 10 საათზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომების დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სხდომა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომაზე დაიწყო კამათი საქართველოს სსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო.

კამათში გამოვიდნენ: დეპუტატი **მ. კ. მაღრაძე** (ქალაქ თბილისის მალენკოვის საარჩევნო ოლქი), აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ა. მ. ლაბახუა**, დეპუტატი **გ. ს. სეხნიაშვილი** (თელავის რაიონის ნაფარეულის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **ი. გ. რთველიაშვილი** (ქარელის რაიონის რუისის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **ა. კ. მაკაროვი** (წალკის რაიონის ედიქლისის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **ნ. მ. ჯიბლაძე** (ასპინძის რაიონის ასპინძის საარჩევნო ოლქი), საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. **ა. ს. ნუჟნიაკოვი**, დეპუტატი **ნ. გ. გომელაური** (ქ. რუსთავის სამრეწველო საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **შ. ი. ჭანუყვაძე** (ჩოხატაურის რაიონის დაბლაციხის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **ა. ე. მელაძე** (ქალაქ თბილისის საქარხნო საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **ე. მ. ნატროშვილი** (სიღნაღის რაიონის ქვემომაჩხაანის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **გ. ა. ჯაბუა** (ზუგდიდის რაიონის რუხის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **ფ. დ. დუმბაძე** (ქალაქ ბათუმის სტალინის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **გ. ნ. ჯიბლაძე** (ქალაქ თბილისის ენგელსის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **გ. ა. რობაქიძე** (ქუთაისის რაიონის ქვედა სიმონეთის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **ე. ე. ბურჭულაძე** (ქალაქ თბილისის კოჯრის საარჩევნო ოლქი), საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. **ს. ვ. დურმიშიძე**.

ამით დამთავრდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სხდომა.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1954 წლის 28 მაისის საღამოს სხდომის შესახებ

28 მაისს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომების დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სხდომა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი საქართველოს სსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო.

კამათში გამოვიდნენ: დეპუტატი **დ. თ. ვალიევი** (ჯავის რაიონის კვაესის საარჩევნო ოლქი), საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი **ა. ლ. გუნია**, დეპუტატი **ო. გ. ბურდული** (დუშეთის რაიონის ჟინვალის საარჩევნო ოლქი), ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ო. ა. ბიბილეიშვილი**, დეპუტატი **ზ. ნ. კეცხოველი** (დუშეთის რაიონის ბაზალეთის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **ე. დ. ტორონჯაძე** (სამტრედიის რაიონის სამტრედიის საქალაქო საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **ი. ო. მოსაშვილი** (კაჩრეთის რაიონის ყანდაურის საარჩევნო ოლქი), საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ამხ. **დ. გ. მამამთავრიშვილი**.

ამით დამთავრდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სხდომა.

მოსკოვს ჩავიდა უკრაინის სსრ დელეგაცია

28 მაისს მოსკოვს რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისადმი მიძღვნილ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე ჩავიდა უკრაინის სსრ დელეგაცია.

კიევის ვაგზალში, რომელიც მორთულია სსრ კავშირის, რუსეთის სფსრ და უკრაინის სსრ სახელმწიფო ალმებით, მოსკოველები ზეიმით შეხვდნენ ძვირფას სტუმრებს. რუსულ და უკრაინულ ორნამენტებში ჩასმულია ოქროს ვარაყით დაწერილი ღირსშესანიშნავი თარიღი: „300“. წითელ ტილოზე წარწერილია: „დიდება მოძმე უკრაინელ ხალხს!“. ყველგან ყვავილებია. პერონზე ჩამწკრივებულია სალამო ყარაული.

მატარებელი პერონს მოადგა. ვაგონიდან გამოდიან უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ა. ი. კირიჩენკო, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნ. ტ. კალჩენკო, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. დ. ს. კოროტჩენკო, დელეგაციის წევრები. მათ გულთბილად ხვდებიან რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ა. მ. პუზანოვი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. მ. პ. ტარასოვი, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის წევრები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივნები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. დედაქალაქის კიევის რაიონის პიონერებმა სტუმრებს მაართვეს გაზაფხულის ფერადი ყვავილების თაიგულები.

კრასნოხოლმსკის კამვოლის კომბინატის უძველესი მუშა მჭსოველი ო. გ. ზაბროდინა ძველი რუსული ჩვეულებისამებრ ამხ. კოროტჩენკოს ვერცხლის ხონჩით მიართმევს პურ-მარილს.

ამხ. კოროტჩენკო მთელი სულითა და გულით უძღვნის მადლობას გულითადი შეხვედრისათვის და უკრაინელი ხალხის მხურვალე სალამს გადასცემს რუს ხალხს. დამსწრეთა ერთსულოვან ტაშის გრიალში უკრაინულ ენაზე იგი ამბობს: „დიდ რუს ხალხს დიდება!“

უკრაინელი ხალხის წარმოგზავნილებს გულთბილად მიესალმა დედაქალაქის ათასობით მშრომელი, რომლებიც ვაგზლის მოედანზე შეიკრიბნენ. ეს მგრძნობიარე შეხვედრა გადაიქცა რუსი, უკრაინელი ხალხებისა და ჩვენი სამშობლოს ყველა მოძმე ხალხთა მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად, ხალხებისა, რომლებიც დიადმა კომუნისტურმა პარტიამ საბჭოთა რესპუბლიკების ურღვევ კავშირად დარაზმა.

(საკდესი).

კიევი. 1954 წლის 22 მაისი. უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესია, მიძღვნილი რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისადმი. **სურათზე:** რსფსრ დელეგაციის ხელმძღვანელი რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. პ. ტარასოვი საჩუქარს უძღვნის უკრაინელ ხალხს. რუსი ხალხის საჩუქარს იღებს უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე პ. გ. ტიჩინა.

ფოტო ვ. სიჩევისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია, რომელიც ახლა მიმდინარეობს, განიხილავს ჩვენი რესპუბლიკის მთავრობის მიერ წარდგენილ საქართველოს სსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს. ქართველი ხალხის რჩეულნი, რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატები ერთსულოვნად იწონებენ ბიუჯეტის პროექტს. ბიუჯეტის ყოველი მუხლი, თვითეული ციფრი მეტყველებს საქართველოს მშრომელთა წარმატებებზე, რასაც ისინი აღწევენ კომუნისტური მშენებლობის ფრონტზე.

ამიტომ არის, რომ ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელი ულრმესი კმაყოფილების გრძნობით შეხვდა საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს. ამ ბიუჯეტში, როგორც წინა წლების ყველა ბიუჯეტში, ასახულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა, რომლის მიზანია ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკისა და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი აღმაფლობა, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცება.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემადგენლობაში რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავალი დაგეგმილია 2.368.406 ათასი მანეთის და გასავალი 1.252.315 ათასი მანეთის ოდენობით. ჩვენი სოციალისტური წყობილების პირობებში ბიუჯეტის სახსრების განაწილება ხორციელდება მთელი საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის იმ ამოცანის შესაბამისად, რომლის თავარი მიზანია მშრომელთა მუდმივად მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილება. მაგალითად, 1954 წლის ბიუჯეტის საერთო მოცულობიდან 796.845 ათასი მანეთი, ანუ მთელი ხარჯების 28,7 პროცენტი, გათვალისწინებულია მოხმარდეს სახალხო მეურნეობის განვითარებას. ბიუჯეტის ასიგნობათა გარდა, საწარმოები და ორგანიზაციები ამავე მიზნით საკუთარი სახსრებიდან დახარჯავენ 587.619 ათას მანეთს, ამრიგად, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მიმდინარე წელს სულ დაბანდებული იქნება 1 მილიარდ 384 მილიონ 464 ათასი მანეთი, რაც 95 მილიონი მანეთით აღემატება გასული წლის ფაქტიურ ხარჯებს.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, რომლებიც ეყრდნობიან მძიმე ინდუსტრიის განვითარების წარმატებებს, ყოველმხრივ აძლიერებენ მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარების ტემპს. ეს თვალსაჩინოდ არის ასახული საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტშიც. შარშანდელთან შედარებით მიმდინარე წელს ფართო მოხმარების საქონლის წარმოების მაღალი ტემპების უზრუნველსაყოფად საგრძნობლად იზრდება კაპიტალური დაბანდებანი. საკმარისია ითქვას, რომ 1954 წელს ფართო მოხმარების საქონლის წარმოება გასულ წელთან შედარებით გაიზრდება: სამკერვალო მრეწველობაში — 21,7 პროცენტით, შალის მრეწველობაში — 21,4 პროცენტით, ხორცის მრეწველობაში — 5,4 პროცენტით, ყველისა და კარაქის მრეწველობაში — 47 პროცენტით და ა. შ. მიღწეულ იქნება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულება.

პარტიამ და მთავრობამ საბჭოთა ხალხის წინაშე ყველაზე საარსებო და უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო ამოცანად დასახეს მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის სწრაფ აღმავლობას და ორ-სამ წელიწადში მკვეთრად ავამაღლოთ სახურსაოო საქონლიერი ჩვენი ქვეყნის მთელი მოსახლეობის უზრუნველყოფა და ამასთანავე დავაკმაყოფილოთ მრეწველობა ნედლეულით. საქართველოს სსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში აისახა პარტიისა და მთავრობის მზრუნველობა კომუნისტური მშენებლობის ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის. წელს გათვალისწინებულია რუსეთის სოფლის მეურნეობის განვითარებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სხვა წყაროებიდან დაახარჯოს 359.644 ათასი მანეთი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ამ მიზნით შარშან გაწეულ ხარჯებს.

საბჭოთა ხალხი მრავალი წლის გამოცდილებით დარწმუნდა, რომ მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობისათვის ზრუნვა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უმაღლეს კანონს წარმოადგენს. ამ ზრუნვის ერთ-ერთი ნათელი გამოხატულებაა ის უდიდესი სახსრები, რასაც საბჭოთა სახელმწიფო ყოველწლიურად ხარჯავს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე. მიმდინარე წელს ამ მიზნით გათვალისწინებულია დაახარჯოს 1.766.286 ათასი მანეთი, რაც რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის მთელი მოცულობის 63,6 პროცენტს შეადგენს. ეს თანხა 74.628 ათასი მანეთით აღემატება ამ ღონისძიებებზე შარშან ფაქტიურად გაწეულ ხარჯებს და 2,2-ჯერ მეტია ომისწინა 1940 წელს ფაქტიურად გაწეულ ხარჯებზე.

ბიუჯეტის მუდმივად მზარდი გასავალი, რაც ხმარდება სახალხო მეურნეობის განვითარებას და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებს, შესაძლებელია მხოლოდ ბიუჯეტის შემოსავლის განუწყვეტელი ზრდით. ჩვენს ქვეყანაში ბიუჯეტის შემოსავლის მთავარი წყაროა სოციალისტური მეურნეობიდან მიღებული სახსრები. რაც შეეხება ბიუჯეტის შემოსავლის იმ ნაწილს, რომელიც გათვალისწინებულია მიღებულ იქნას მოსახლეობიდან გადასახადების ანგარიშში და ხესხით, იგი სისტემატურად მცირდება და მას უმნიშვნელო ადგილი უკავია სახელმწიფო ბიუჯეტში. საკმარისია ითქვას, რომ კოლმეურნეები და სხვა მოსახლეობა, რომელიც სოფლის მეურნეობას ეშვა, 1954 წელს 1952 წელთან შედარებით თითქმის ორჯერ ნაკლებ გადასახადს გადაიხდიან.

ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი საბჭოთა ქვეყნის განუხრელი წინსულისა და მისი ძლიერების განმტკიცების ბიუჯეტია. იგი ემსახურება ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. ბიუჯეტის ციფრებში საბჭოთა ადამიანები ხედავენ თავიანთი შემოქმედებითი შრომის შედეგებს და შემდგომი წინსვლის ნათელ პერსპექტივებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია მუშაობას განაგრძობს იმ ღირსსახსოვარ დღეებში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით და ზეიმით აღნიშნავს საერთო-სახალხო დღესასწაულს — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს. ეს დიადი დღესასწაული ისევე მახლობელი და ძვირფასია მზიური საქართველოს მშრომელებისათვის, როგორც დიდი საბჭოთა მრავალეროვანი ოჯახის თვითეული წევრისათვის. ეს გასაგებიც არის. საბჭოთა უკრაინამ თავის აუვავებას მიაღწია იმავე სახელოვანი და უძლეველი დროშით, რომელიც ამაყად ფრიალებს ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, მათ შორის საქართველოს სს რესპუბლიკაში, და იცავს მათი ხალხების თავისუფალ მშვიდობიან შრომას და ბედნიერ ცხოვრებას. ეს არის ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის დიადი ლენინურ-სტალინური დროშა, ხალხთა ძმური თანამშრომლობისა და მეგობრობის დროშა, კომუნიზმის დროშა.

ქართველი ხალხი დიადი მეგობრობის ამ საზეიმო დღეებში ღრმა ინტერესით ეცნობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მასალებს და, ეჭვი არ არის, რომ სესიის ყველა გადაწყვეტილებას მიიღებს როგორც თავის საბრძოლო ამოცანას. იგი კვლავაც თავდადებით იბრძოლებს პარტიისა და მთავრობის მიერ მის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის — რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმაფლობისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების განუხრელად განხორციელებისათვის, მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

კომუნისტური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით, ლენინ — სტალინის დროშით წინ — კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

აბრეშუმის პარკის პირველი მოსავალი

ქალაქ ქუთაისის მოწინავე აბრეშუმემ ნინო ლოსაბერიძემ 5,4 გრამი თესლიდან გამოუყვანილ აბრეშუმის ჭიის სანიმუშოდ მოუარა და კარგი შედეგი მიიღო. 26 მაისს სახელმწიფოს ჩაბარა 40 კილოგრამი მაღალხარისხოვანი პარკი. გეგმა შესრულა 222 პროცენტით.

დ. მელქაძე,
ქუთაისის რაიაბრეშუმის გამგე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

საქართველოს სსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის ამხ. ბ. ჩხეიძის მოხსენებიდან

გასულ წელს არადამაკმაყოფილებლად მუშაობდა რაიონული დაქვემდებარების ადგილობრივი მრეწველობა. სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა ვერ შეასრულეს 29 სამრეწველო კომბინატმა და აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა.

პროდუქციის გამომუშავების გეგმა ასორტიმენტის მიხედვით ვერ შეასრულეს რაიონული მრეწველობის კომბინატებმა.

გეგმით გათვალისწინებული 83 სახის ნაწარმიდან შესრულებული არ არის 46 სახის ნაწარმის გეგმა. მათ შორის შესრულებული არ ყოფილა ისეთი პროდუქციის გამოშვების დავალება, როგორიც არის აგური, კრამიტი, ლურსმანი, ტრიკოტაჟი, წინდები, ფეხსაცმელი, ქსოვილები, საწოლები და სხვა.

ადგილობრივმა რაიონულმა მრეწველობამ ვერ შეასრულა პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალება. 1953 წლის ბალანსის მიხედვით გეგმით გაუთვალისწინებელი დანაკარგები 9 მილიონ მანეთს აღემატება.

გასულ წელს განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ ახალციხის, ზუგდიდის, კაჭრეთის, ლაგოდეხის, მახარაძის, მაიაკოვსკის, საჩხერის, თერჯოლის, წალენჯიხის, წულუკიძის, წყალტუბოს, ჩხოროწყუს რაიმრეწვკომბინატები, ქუთაისის და რუსთავის საქალაქო მრეწვკომბინატები.

1953 წელს ზოგიერთ მრეწვკომბინატში ფულადი სახსრებისა და მატერიალურ საშუალებათა გაფლანგვა-დატაცების შემთხვევები იყო.

სარეწაო კოოპერაციამ 1953 წელს საერთო პროდუქციის გამოშვების დაგეგმვა დაჭარბებით შესრულა. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ამ სისტემის 20 სამრეწველო დარგიდან პროდუქციის გამოშვების გეგმა არ შესრულებულა 7 დარგში 8 მილიონი მანეთით.

გათვალისწინებული 90 სახეობის ძირითადი ნაწარმიდან ასორტიმენტის გეგმა არ შესრულებულა 42 სახეობის, მათ შორის აგურის, კრამიტის, ლურსმნის და სხვ. ხაზით.

არამწარმოებლური ხარჯები და გეგმით გაუთვალისწინებელი დანაკარგები 13 მილიონ მანეთს აღემატებოდა.

ამ სისტემის 35 არტელმა სამეურნეო წელი დიდი ზარალით დაამთავრა. სარეწაო კოოპერაციაში აღმოფხვრილი არ არის გაფლანგვა-დატაცების ფაქტები.

საჭიროა მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ და სარეწაო კოოპერაციის სსბჭომ არსებითად გაუმჯობესონ ხელმძღვანელობა და კონტროლი რაიონული მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებისადმი, უზრუნველყონ 1954 წელს საწარმოო-საფინანსო გეგმებით გათვალისწინებული ყველა ძაჩვენებლის წარმატებით შესრულება, აღმოფხვრან გაფლანგვა-დატაცების შემთხვევები და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეს.

სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებდა გასულ წელს ვაჭრობის სამინისტროს ბევრ სავაჭროს და საზოგადოებრივი კვების ტრესტის მუშაობას.

მიუხედავად 1953 წლის საქონელბრუნვის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისა, სამინისტროში შემავალი 19 სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ტრესტიდან რვამ გეგმების შესრულება ვერ უზრუნველყო.

განსაკუთრებით ცუდად იმუშავეს საზოგადოებრივი კვების ტრესტების დამხმარე მეურნეობებმა, სადაც უყაირათო მუშაობის შედეგად მიღებულია 1.408 ათასი მანეთის ზარალი.

სავაჭროებისა და საზოგადოებრივი კვების ტრესტების ხელმძღვანელები არ ახორციელებენ ღონისძიებებს მიმოქცევის ხარჯების შემცირებისა და დანაკარგების ლიკვიდაციისათვის, სუსტად იბრძვიან იმ საქონლის ხარისხისათვის, რომელსაც მათ მრეწველობა აწვდის მოსახლეობისათვის მისაყიდად.

1953 წელს სავაჭრო ორგანიზაციებმა უხეშად დაარღვიეს საფინანსო დისციპლინა, ზედმეტად გასწიეს მიმოქცევის ხარჯები 6.387 ათასი მანეთის ოდენობით და დაუშვეს გეგმით გაუთვალისწინებელი დანაკარგები 13.530 ათასი მანეთის ოდენობით.

სავაჭრო ორგანიზაციებში სრულიად არადამაკმაყოფილებლად წარმოებდა ბრძოლა სახელმწიფო საკუთრების დაცვისათვის.

გასულ წელს საწარმოო გეგმის შეუსრულებლობის მიზეზით და დანაკარგების დაშვების გამო დაგროვების გეგმა ვერ შეასრულეს საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს სამეურნეო ორგანიზაციებმა 8.439 ათასი მანეთის ოდენობით, ხოლო სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზაციებმა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული დაგროვებისა ზარალი მიიღეს.

რესპუბლიკაში ჯერ კიდევ მოუგვარებელია სამშენებლო საქმიანობა. მშენებლობაში არასაკმაოდ არის გამოყენებული ინდუსტრიული მეთოდები, სამშენებლო მოედნები უზრუნველყოფილი არ არის საჭირო მექანიზმებით, რაც იწვევს სამშენებლო ობიექტების ღირებულების გაძიდებას.

გასულ წელს სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციები.

საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტროს ტრესტებმა სამუშაოთა გეგმა მხოლოდ 84,3 პროცენტით შეასრულეს. „ქუთაისმშენმა“ გეგმა ვერ შეასრულა 31,2 პროცენტით, „საქდასახლებამშენმა“ — 26,6 პროცენტით, „საქმშენმა“ — 17,5 პროცენტით, „თბილისმშენმა“ — 9 პროცენტით.

ამ სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციებმა შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე დაუშვეს საგეგმო ღირებულების წინააღმდეგ 19 მილიონ მანეთზე მეტის გადახარჯვა, გეგმით გაუთვალისწინებელი დანაკარგები და სახელმწიფოს მიაყენეს 17 მილიონ მანეთზე მეტი ზარალი.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გეგმა 1953 წელს ტრესტმა „საქსოფლმშენმა“ შეასრულა 87,7 პროცენტით, სამოვრების სამელიორაციო ტრესტმა—55,6 პროცენტით და ტრესტმა „წყალმშენმა“ 83,4 პროცენტით.

მშენებლობის დარგში მოუქნელი ხელმძღვანელობის, სამშენებლო სამუშაოთა სუსტი მექანიზაციის, შრომის დაბალი ნაყოფიერებისა და სხვა დარღვევების შედეგად დაშვებულ იქნა აგრეთვე შესრულებულ სამუშაოთა ღირებულების საგრძნობი გადიდება „საქსოფლმშენის“ და ტრესტ „წყალმშენის“ ხაზით.

სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა ვერ შეასრულეს აგრეთვე ტრესტებმა „საქსანტექმონტაჟმა“ და „საქელექტრომონტაჟმა“.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულების გაძვირების შედეგად „საქჩაიმშენმონტაჟმა“ მიიღო 5.710 ათასი მანეთი ზარალი, ხოლო „საქსასმრეწვმშენმა“ — 6.356 ათასი მანეთი.

სამუშაოთა არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაციის შედეგად ხშირია საყოფაცხოვრებო და კომუნალური მეურნეობის ობიექტების მშენებლობის გაჭიანურება. ამის მაგალითია გორის წყალსადენის მშენებლობა, ფოთში კანალიზაციისა და ახალციხეში წყალსადენის მშენებლობა, თბილისში საინფექციო საავადმყოფოს მშენებლობა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტების მშენებლობა.

მიმდინარე წელს საბინაო მშენებლობის ტემპიც დაბალია, რასაც სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

საჭიროა სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა და სათანადო სამინისტროებმა უმოკლეს დროში არსებითად გარდაქმნან თავიანთი მუშაობა, უზრუნველყონ მშენებლობის გეგმების დროულად და ხარისხიანად შესრულება და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან მშენებლობის ღირებულების გადიდება. ამასთან ყველა სამინისტრომ და ორგანიზაციამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს საბინაო მშენებლობის საქმეს.

ჩვენი სახალხო მეურნეობის დარგები გაფართოებული სოციალისტური რეპროდუქციის კანონით ვითარდება. საწარმოო ძალების შემდგომი ზრდის ინტერესები მოითხოვს ყოველი ცალკე დარგის საწარმოო-საფინანსო გეგმების მაღალხარისხოვნად შესრულებას და ამის საფუძველზე ბიუჯეტით გათვალისწინებული ყველა სახის შემოსავლის გეგმის აუცილებლად შესრულებას.

ამის მისაღწევად ყოველი საწარმოს ხელმძღვანელმა უნდა აამაღლოს სამეურნეო საქმიანობის დონე და ყოველ უბანზე მაქსიმალურად გააძლიეროს მომუშავეთა პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობის შესრულებისათვის.

ამავე დროს საჭირო და დაწესდეს კონტროლი საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეურნეო და საფინანსო მუშაობისადმი, რისთვისაც ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული შინასაუწყებო კონტროლის აპარატი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შრომითი, ფულადი და მატერიალური რესურსების სწორად გამოყენებას, ტექნოლოგიური დანადგარების წარმადობის გეგმის შესრულებას, სამუშაო დროის მაქსიმალურად გამოყენებას, ასორტიმენტის გეგმის, პროდუქციის რეალიზაციის გეგმების შესრულებას, თვითღირებულების შემცირებას, აგრეთვე სანგეგმო-საანგარიშო, საფინანსო და საშტატო-სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის და სამეურნეო ანგარიშიანობის პრინციპის შემდგომ განმტკიცებას.

სსრ კავშირის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე დიდი ყურადღება მიექცა სამმართველო აპარატის გაუმჯობესებისა და გაიაფების საკითხებს. ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს, რომ ზოგი სამინისტროს, უწყებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელები სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან სამართველო ხარჯების შემცირებისა და აპარატის მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს.

როგორც საფინანსო ორგანოების მიერ ჩატარებული შემოწმების მასალები მოწმობენ, ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს მუშაკები ჰყავთ შტატს ზევით და უშვებენ ზედმეტობას ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შესანახ ხარჯებში.

1953 წლის დეკემბერში სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციების შემოწმებით გამოვლინებულ იქნა 174 შტატზევითი თანამდებობა, რომელთა შენახვაზე უკანონოდ დახარჯულია 200 ათასი მანეთი. იყო ხელფასის განაკვეთების უკანონოდ გადიდების შემთხვევებიც.

დარღვევები გამოვლინებულია აგრეთვე 1954 წელს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლმომარაგების ორგანიზაციებში.

საშტატო-სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დარღვევა დაუშვა საქართველოს სსრ საშინ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ, რომელიც ცენტრალურ აპარატში სახსრებს ხარჯავდა დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის გვერდის აცლით და ინვენტარის რემონტის აუთვისებელ ასიგნებათა ხარჯზე; ამ სახსრებიდან მან დაუშვა საკანცელარიო-სამეურნეო და მიცვლენების თანხების გადახარჯვა.

ზედმეტი ხარჯების გაწევის დამახასიათებელი შემთხვევა იყო აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტში. ფიზკულტურისა და სპორტის აპარატის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროდან გამოყოფასთან დაკავშირებით კომიტეტმა ადგილებზე სპეციალურად მიაგზავნა 13 კაცი, მათ შორის ისეთ რაიონებშიც, სადაც ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებათა აპარატიდან უნდა გამოყოფილიყო ფიზკულტურის 1 ინსპექტორი. ამ საქმეზე უკანონოდ დაიხარჯა ფიზკულტურის ღონისძიებებზე გათვალისწინებული სახსრებიდან 3.000 მანეთამდე.

ნაცვლად იმისა, რომ შეისწავლონ და დააყენონ საკითხი აპარატის გამარტივებისა და შემცირების შესახებ, მთელი რიგი სამინისტროები აყენებენ საკითხს შტატებისა და ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების გადიდების შესახებ, რაც ყოვლად დაუშვებელია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ წარმატებით წინსვლისათვის საჭიროა განუწყვეტლივ ვაუმჯობესებდეთ და სრულყოფდეთ სახელმწიფო აპარატის მუშაობას; რომ ჩვენთან შეიქმნა არასწორი პრაქტიკა, როცა ბევრ დაწესებულების მუშაობაში მთავარი ყურადღება მიპყრობილია არა ორგანიზაციულ საქმიანობაზე, არამედ მრავალი სხვადასხვა დირექტივის, განკარგულებისა და ბრძანების, ყოველგვარი ცნობების შედგენაზე, მრავალი სხდომისა და თათბირის მოწყობაზე, რომლებიც ადამიანებს ცოცხალი საქმისაგან წყვეტენ. ზოგიერთი მინისტრი, აღნიშნავს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, თავის ამოცანას იმაში ხედავს, რომ შექმნას მრავალრიცხოვანი და ვეებერთელა აპარატი. აქ მათ უნდა გავუსწოროთ. სამინისტროების დაყოფა ისე უნდა განვახორციელოთ, რომ ახალ სამინისტროებში აპარატის შემადგენლობა არავითარ შემთხვევაში არ აღემატებოდეს იმ სამინისტროების მუშაკთა ახლანდელ რაოდენობას, რომლებიდანაც ახალი სამინისტროები გამოიყოფა.

საჭიროა, რომ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა და მშრომელთა დეპუტატების აღმასკომებმა სათანადო დასკვნები გააკეთონ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა გამოსვლებიდან უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე და დაუყოვნებლივ აღკვეთონ საშტატო-სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. ამავე დროს მათ პირადად მტკიცე კონტროლი უნდა დააწესონ დაქვემდებარებულ დაწესებულებებში საშტატო-სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დაცვისადმი, გაბედულად დააყენონ ზედმეტი რგოლების შემცირების საკითხი და მიაღწიონ მაქსიმალურ ეკონომიას აპარატის შენახვის ხარჯებში.

საფინანსო ორგანოების მიერ ჩატარებული რევიზიებითა და შემოწმებებით დადგენილია უყაირათობის ფაქტები, ხოლო ზოგჯერ სახელმწიფო სახსრებისა და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დანაშაულებრივი ხარჯვის შემთხვევები.

უნდა უზრუნველვყოთ, რომ ყოველი მანეთი იხარჯებოდეს მომჭირნეობით და მიზანშეწონილად, რომ საბიუჯეტო სახსრები გამოყენებული იყოს თავისი პირდაპირი დანიშნულებით, სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

უკანონო ხარჯების, გაფლანგვებისა და მტაცებლობის ფაქტები შინასაუწყებო საფინანსო კონტროლს არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის შედეგიც არის.

მთელი რიგი სამინისტროები და ცენტრალური დაწესებულებები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ იმას, რომ მტკიცედ დაიცვან მთავრობის დადგენილების მოთხოვნა ყველა დაქვემდებარებულ დაწესებულებაში წელიწადში ერთხელ მაინც დოკუმენტალური რევიზიის ჩატარების შესახებ.

ჩატარებული რევიზიების ხარისხი ჯერ კიდევ დაბალია, ჭიანურდება რევიზიის მასალების რეალიზაცია, სუსტად ხორციელდება კონტროლი რევიზიის შედეგად მიცემულ მითითებათა შესრულებისადმი.

მაიაკოვსკის ქარხანათა სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტალური რევიზია ჩატარებულია 1950, 1951, 1952 და 1953 წლებში სამტრესტის და ამავე ტრესტის კონიაკის კომბინატის საუწყებო რევიზორების მიერ. მაგრამ მათ არ გამოუვლენიათ სახელმწიფო სახსრების მითვისება-დატაცების ფაქტები, მაშინ როცა ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო აპარატმა ამჟამად ჩატარებული რევიზიით იმავე წლებში ნახევარ მილიონ მანეთზე მეტის გაფლანგვა აღმოაჩინა.

საფინანსო ორგანოებმა, სამინისტროებმა და ცენტრალური დაწესებულებების ხელმძღვანელებმა გადაჭრით უნდა გააუმჯობესონ რევიზიათა და შემოწმებათა ხარისხი, გააძლიერონ კონტროლი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისადმი, თანხების ხარჯვის სისწორისა და სახელმწიფო სახსრების დაცვისადმი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე, 1953 წელს საბჭოთა მთავრობის მეთაური ამხანაგი გ. მ. მალენკოვი აღნიშნავდა, რომ „...თვითღირებულება ძირითადი მაჩვენებელია, რომელიც ახასიათებს საწარმოს მთელი მუშაობის ხარისხს, მაგრამ ბევრ სამეურნეო ხელმძღვანელს ავიწყდება ეს, ნაკლებად არის დაინტერესებული საწარმოთა რენტაბელობის საკითხებით“. სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები ვალდებული იყვნენ გაეძლიერებინათ ყურადღება წარმოების ეკონომიკისა და ფინანსების საკითხებისადმი.

მიუხედავად ამისა, საფინანსო-ეკონომიური მუშაობა არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის, საშენ მასალათა მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტროებში და სათანადო დაქვემდებარებულ ტრესტებსა და საწარმოებში.

ამ სამინისტროებში ყოველთვის არ სწავლობენ სახელმწიფო სახსრების მიზნობრივი გამოყენების ეფექტიანობას, დროულად არ აკლინებენ სამეურნეო ანგარიშის პრინციპების დარღვევის შემთხვევებს, არ ახორციელებენ ქმედით ღონისძიებებს საწარმოთა საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. საჭიროა დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას ზომები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ახლა, როდესაც პარტიისა და მთავრობის მითითებით განხორციელდა სერიოზული ღონისძიებანი ზედმეტი მიწერმოწერის და მრავალგვარი ცნობებისა და ანგარიშების მაქსიმალურად შემცირებისათვის, სამინისტროებს, უწყებებს და საფინანსო ორგანოებს ევალებათ უფრო ოპერატიული კონტროლი დაწესონ სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაზე უშუალოდ საწარმოებში, გამოავლინონ სამეურნეო ორგანიზაციებში პროდუქციის თვითღირებულების შემცირების რეზერვები, უფრო ღრმად შეისწავლონ მათი ეკონომიკა, ფინანსები და საჭირო დახმარება გაუწიონ მათ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესებაში. ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, — აღნიშნა ამხანაგმა გ. მ. მალენკოვმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე, — რომ სერიოზულად გავაძლიეროთ სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, ავუმაღლოთ ყველა მუშაკს პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე მოვალეობის გრძნობა.

სსრ კავშირის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე აღნიშნული ნაკლოვანებანი საფინანსო ორგანოების მუშაობაში შეეხება ჩვენი რესპუბლიკის საფინანსო ორგანოების მუშაობასაც. ამ სესიაზე პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა გამოსვლებში მოცემული მითითებებიდან საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო საჭირო დასკვნებს გააკეთებს და სათანადოდ გარდაქმნის თავის მუშაობას.

ამხანაგო დეპუტატებო!

სოციალისტურ წყობილებას აქვს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მძლავრი განვითარებისა და კულტურული აყვავების უდიდესი შესაძლებლობანი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხი წარმატებით იყენებს ამ შესაძლებლობებს და პირდაპირი გზით, მტკიცე რწმენით მიდის კომუნიზმისაკენ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, რაც მიმდინარე წლის 14 მარტს ჩატარდა, იმის მკაფიო დადასტურება იყო, თუ რაოდენ მაღალია საბჭოთა ადამიანების ორგანიზებულობა და პოლიტიკური აქტივობა, საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა და დარაზმულობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის ღირსშესანიშნავი თარიღი, რასაც დღეს ზეიმით აღნიშნავს სსრ კავშირის ყველა ხალხი, წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ერთიანობისა და ძმური მეგობრობის ბრწყინვალე დემონსტრაციას (ტაში).

მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ძლევამოსილი ზრდა და თანამედროვეობის სხვა საერთაშორისო მოვლენები იმას მოწმობენ, რომ შეუძლებელია შეჩერებულ იქნას კაცობრიობის წინსვლა თავისუფლებისა და ბრწყინვალე მომავლისაკენ. ი. ბ. სტალინი ჯერ კიდევ 1927 წელს აღნიშნავდა: „...მხოლოდ გამოჩერჩეტებულ ადამიანებს შეუძლიათ იფიქრონ, რომ არტელერიის კანონები ისტორიის კანონებზე ძლიერია, რომ შეიძლება ისტორიის ბორბლის უკუღმა დატრიალება...“

ჩვენი სოციალისტური საზოგადოება ისტორიის ობიექტური კანონების შესაბამისად ვითარდება, და არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს მისი ძლევამოსილი წინსვლა კომუნიზმისაკენ.

ეჭვი არ არის, რომ 1954 წლის ბიუჯეტი წარმატებით შესრულდება, და ეს იქნება ახალი ნაბიჯი ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის გზაზე. (ტაში).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეკუზავ ა. გიგოშვილის თანამოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიიდან მეექვსე სესიამდე განვლილი პერიოდი ხასიათდება ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლოს ახალი აღმავლობით, საბჭოთა სახელმწიფოს ნაციონალური შემოსავლის მნიშვნელოვანი ზრდით და ხალხის მატერიალური და კულტურული დონის კიდევ უფრო ამაღლებით.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე კაცობრიობის ამ ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მთავრობა განუხრელად ახორციელებენ მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალური ბელადების დიდი ლენინისა და დიდი სტალინის ყოვლისმძლე იდეებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიურ ძლიერებას, ჩვენი მრავალეროვანი გმირი საბჭოთა ხალხის მორალურ და პოლიტიკურ ერთიანობას და მისი კეთილდღეობის მუდმივ ზრდას.

ლაპარაკობდა რა დიდი სტალინის მიერ მოცემულ პროგრამულ მითითებათა შესახებ, ამხანაგმა გ. მ. მალენკოვმა პარტიის XIX ყრილობაზე აღნიშნა: „ამხანაგმა სტალინმა გვიჩვენა, რომ წარმოების სოციალისტური წესის მიზანია არა მოგება, არამედ ადამიანი და მისი მოთხოვნილებანი, ადამიანის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა არის სოციალისტური წარმოების მიზანი, ხოლო უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდა და გაუმჯობესება — მიზნის მიღწევის საშუალება. ამ კანონის მოქმედება იწვევს საზოგადოების საწარმოო ძალების აღმავლობას, მის აყვავებას, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუწყვეტლივ ზრდას“.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გასული წლის სექტემბრისა და მიმდინარე წლის თებერვალ-მარტის პლენუმების ბრძნული გადაწყვეტილებანი, რომელთა განხორციელებაც უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის სწრაფ და გრანდიოზულ განვითარებას, კვების და ფართო მოხმარების საგნების სიუხვეს, ბრწყინვალედ მოწმობენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივ მზრუნველობას მშრომელი ხალხისათვის.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად, საქართველოს მშრომელებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების საქმეში.

როგორც სესიას საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა ამხ. ჩხეიძემ მოახსენა, ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობამ 1953 წლის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 101,8 პროცენტით შეასრულა და 1952 წელს გამოშვებულ სამრეწველო პროდუქციას 11,7 პროცენტით გადააჭარბა. საქართველოს რესპუბლიკის სოციალისტური მრეწველობის და სოფლის მეურნეობის წარმატებათა შედეგად მნიშვნელოვნად მაღლდება რესპუბლიკის მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონე, მათი მყიდველობითი უნარი. 1953 წელს 1940 წელთან შედარებით საქონელბრუნვა რესპუბლიკაში გაიზარდა 70 პროცენტით.

1953 წელს მოსახლეობას მიეყიდა ერთნახევარჯერ მეტი სასურსათო საქონელი და 90 პროცენტით მეტი სამრეწველო საქონელი ვიდრე 1940 წელს.

მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს ჩვენს რესპუბლიკას მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების განვითარების საქმეშიც. ქართველი საბჭოთა მეცნიერები, მწერლები, კომპოზიტორები, მხატვრები, მსახიობები, რეჟისორები ცნობილი არიან მთელ ჩვენს დიდ საბჭოთა ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც. მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საბჭოთა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ზრდასა და განვითარებაში.

საგრძნობლად გააუმჯობესეს მუშაობა მთელმა რიგმა თეატრალურმა და მუსიკალურმა კოლექტივებმა.

რუსთაველის სახელობის, მარჯანიშვილის სახელობის, გრიბოედოვის სახელობის თეატრებმა მაღალ იდეურ-ხელოვნურ დონეზე განახორციელეს მთელი რიგი ახალი დადგმები.

ახალი დადგმები წარმატებით განახორციელეს აგრეთვე ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, გორის და მთელმა რიგმა სხვა თეატრებმა.

რამდენიმე ახალი დადგმა განახორციელა აგრეთვე ზ. ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრმა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ოპერა „ბოგდან ხმელნიცკი“, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის ხალხების საერთო ღიღსასწაულს — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს.

მაგრამ მიუხედავად აღნიშნული წარმატებებისა ჯერ კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი, და ის პოტენციური შემოქმედებითი შესაძლებლობანი, რომლებიც ასე უხვად აქვთ ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატებს, მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული, უკეთ დაირაზმოს ახალი შემოქმედებითი მიღწევებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენს მეცნიერებისა და კულტურისადმი, რაც უზრუნველყოფს ამ დიდი იდეოლოგიური ფრონტის მკვეთრ აღმავლობას.

ამხანაგო დეპუტატებო! საბიუჯეტო კომისიამ განიხილა მთავრობის მიერ წარმოდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი და 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და მიღებული დასკვნის შესახებ დამავალა მოვახსენო საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიას.

1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი დამტკიცებული იყო 2.692.716 ათასი მანეთის მოცულობით.

საანგარიშო წლის განმავლობაში მთავრობის ცალკეულ დადგენილებათა საფუძველზე რესპუბლიკის 1953 წლის ბიუჯეტში შეტანილ იქნა ნაწილობრივი ცვლილებანი, რის შედეგად დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 2.730.967 ათას მანეთს.

1953 წლის ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილის შესრულება უდრის 2.713.283 ათას მანეთს, გასავლის ნაწილისა კი 2.656.057 ათას მანეთს.

ამრიგად, 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შედეგად გასავლზე შემოსავლის გადამეტება უდრის 57.226 ათას მანეთს.

ამასთან უნდა აღინიშნოს საგასავლო ნაწილში გეგმის შეუსრულებლობა, რაც ბიუჯეტში გათვალისწინებული სახსრების შესაჭნევი აუთვისებლობით გამოიხატა. სახელმწიფო ბიუჯეტით მთლიანად ვერ იქნა გამოყენებული სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსებაზე დაგეგმილი სახსრები.

1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განათლებასა და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებაზე ვერ იქნა ათვისებული 47.624 ათასი მანეთი. განათლების ხაზით გასულ წელს აუთვისებელი დარჩა 29.348 ათასი მანეთი.

აქედან საერთო განათლებაზე და ბავშვთა აღზრდის ღონისძიებებზე სახელმწიფო ბიუჯეტით აუთვისებელი დარჩა 16.505 ათასი მანეთი, მათ შორის განათლების სამინისტრომ ვერ ითვისა 13.462 ათასი მანეთი.

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა ვერ გამოიყენეს ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებიდან 18.276 ათასი მანეთი. გასულ წელს მათ ვერ უზრუნველყვეს სამკურნალო ქსელის სრული გაშლა და არსებული დაწესებულებათა შტატების დაკომპლექტება, რის შედეგადაც ვერ ითვისეს ხელფასის ფონდი 4.387 ათასი მანეთის ოდენობით.

განათლების მინისტრმა ამხ. ჯიბლაძემ და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ამხ. მამამთავრიშვილმა საჭიროა ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ და ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები დროზე და დანიშნულებისამებრ ითვისონ.

5 მილიონ მანეთზე მეტი დარჩა აუთვისებელი სამკურნალო და საბავშვო

(დასასრული მე-3 გვერდზე)

* დასასრული. დასაწყისი იხ. გაზეთ „კომუნისტის“ № 125.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ა. გიგოშვილის თანამოხსენება

(დასასრული).

დაწესებულებებში კვებაზე გათვალისწინებული თანხებიდან. ხშირ შემთხვევაში ბავშვები და ავადმყოფები სრულად ვერ იღებენ კვების ის ნორმებს, რაც დაწესებულია მთავრობის მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ ეს არანორმალური მდგომარეობა თითქმის ყოველ სესიაზე აღინიშნა, დღემდე ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირმა ამ საქმეში გარდატეხა ვერ მოახდინეს და მათი ცუდი მუშაობის შედეგად კვების გაუმჯობესება სამედიცინო და საბავშვო დაწესებულებებში დღემდე არ არის მიღწეული.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს კარგად ესმით, თუ რა დიდ მზრუნველობას იჩენენ საბჭოთა მთავრობა და კომუნისტური პარტია ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისათვის. ყოველწლიურად გამოყოფილია მნიშვნელოვანი თანხები სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე: ახალი სკოლების, საავადმყოფოების, საბავშვო სახლებისა და ბაგების მშენებლობაზე. მაგრამ იმის შედეგად, რომ ზოგიერთი რაიონული ხელმძღვანელი ორგანო ამ საქმეს უპასუხისმგებლოდ ეკიდება, ყოველწლიურად მნიშვნელოვანი თანხები აუთვისებელი რჩება. სკოლებისა და საავადმყოფოების მშენებლობა წლობით გრძელდება, ხოლო თავის მხრივ ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სამინისტროები არ ახორციელებენ სათანადო კონტროლს გამოყოფილი სახსრებისა და მასალების დროზე ათვისებისადმი. ამრიგად, მთელი რიგი რაიონების ხელმძღვანელები და ჯანმრთელობის და განათლების მინისტრები საკმაოდ არ იბრძვიან სასკოლო და სამკურნალო ობიექტების მშენებლობის დროზე დამთავრებისათვის.

განათლების სამინისტროს ხაზით სასკოლო მშენებლობის 12 ობიექტზე, რომლებზეც დახარჯულია 1.266 ათასი მანეთი, უკვე რამდენიმე წელია მშენებლობა შეჩერებულია. ასეთი ობიექტებია ახმეტის, სამტრედიის, ჩხოროწყუს, მაიაკოვსკის, ლენტეხის, წალკის, კასპის, თეთრი წყაროს, ამბროლაურის და სხვა რაიონებში.

სოფ. ბეშთაშენის (წალკის რაიონი), ვეჯინის (გურჯაანის რაიონი) და ხციოს (ხამურის რაიონი) სკოლების მშენებლობა 1940 წელს დაიწყო, ხოლო ომის დროს შეჩერებულ იქნა. მიუხედავად იმისა, რომ ეს მშენებლობანი ომისშემდგომ პერიოდში განახლდა, არც ერთი მათგანი დღეისათვის დამთავრებული არ არის.

მეტად ჭიანურდება სამკურნალო დაწესებულებათა მშენებლობაც, მაგალითად, ცაგერში, კაჭრეთში, დმანისში, მარნეულში, ასპინძაში, თერჯოლაში, ლენტეხში, გეგეჭკორში, ხულოში, თიანეთში და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ობიექტების უმრავლესობა დაწყებულია 1948-1949 წლებში, მათს მშენებლობას ჯერ კიდევ ბოლო არ უჩანს.

საბიუჯეტო კომისიას საჭიროდ მიაჩნია სკოლებისა და საავადმყოფოების მშენებლობის მიმდინარეობის საკითხი განხილულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში სათანადო გადამწყვეტი ზომების მისაღებად.

ამხანაგო დეპუტატებო! შემოსავლის გეგმების ძირითადი გადაჭარბება 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სოციალისტურ საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა გადასახდელებით არის მიღებული.

1953 წელს საქართველოს სსრ სამრეწველო სამინისტროების უმრავლესობამ მიაღწია საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების პროგრამის, თვითღირებულების შემცირების სახელმწიფო დავალებისა და მოგების გეგმის თლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

ბიუჯეტში მოგების ანარიცხების გეგმას გადაამეტეს ფართო მოხმარების საქონლის მრეწველობის სამინისტრომ, სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრომ, სატყეო და ქაღალდის მრეწველობის და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებმა.

ამავე დროს ბიუჯეტის წინაშე დავალიანებული დარჩნენ ვაჭრობის სამინისტრო 9.819 ათასი მანეთის და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტრო — 1.609 ათასი მანეთის ოდენობით. სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ამ სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებმაც 1953 სამეურნეო წელი 17.024 ათასი მანეთის ზარალით დაამთავრეს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.130 ათასი მანეთის მოგების მიღებისა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაზით 1953 წელს 617 ათასი მანეთი ზარალი გეგმით იყო გათვალისწინებული 20 ორგანიზაციაში. ფაქტიურად კი სამეურნეო წელი 17.336 ათასი მანეთის ზარალით დაამთავრა 62 ორგანიზაციამ.

საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ხაზით 4.801 ათასი მანეთი ზარალი დაგეგმილი იყო 25 ორგანიზაციაში. ნაცვლად ამისა, 31 ორგანიზაციამ მიიღო 10.731 ათასი მანეთი ზარალი.

უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ ჩვენს საწარმოში ჯერ კიდევ არ არის საკმარისად მობილიზებული მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა ყურადღება წარმოების, ეკონომიკის ისეთი გადამწყვეტი საკითხებისადმი, როგორიც არის ბრძოლა შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, თვითღირებულების შემცირებისათვის, მანქანების, დაზგების და სხვა საწარმოო საშუალებათა სრული გამოყენებისათვის, მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, წარმოების და მიმოქცევის ხარჯების ეკონომიისათვის და სხვ.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალება 0,4 პროცენტის დანაკლისით შესრულა ფართო მოხმარების საქონლის მრეწველობის სამინისტრომ, 3,3 პროცენტის დანაკლისით — საშენ მასალათა სამინისტრომ. ცუდად იბრძოლეს 1953 წელს თვითღირებულების შემცირებისათვის აგრეთვე თბილისის აბრეშუმსაქსოვმა ფაბრიკამ და ცხაკაიას კირის ქარხანამ.

შრომის ნაყოფიერების გეგმის შესრულების არადამაკმაყოფილებელ მაჩვენებლებს იძლევიან სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრო და საშენ მასალათა სამინისტრო.

ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს საწარმოებმა 1953 წლის 10 თვის განმავლობაში დაუშვეს არამწარმოებლური ხარჯები 6.463 ათასი მანეთის ოდენობით და ნაცვლად იმისა, რომ გამოესწორებინათ მდგომარეობა, წლის ბოლომდე ეს ხარჯები 9.651 ათას მანეთამდე გაზარდეს.

საჭიროა ხსენებულ სამინისტროთა და საწარმოთა ხელმძღვანელებმა სათანადო დასკვნები გამოიტანონ მათი გასული წლის სამეურნეო საქმიანობის შედეგებიდან და 1954 წელს უზრუნველყონ აღნიშნულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაცია. მუშაობა ისე უნდა წარიმართოს, რომ საწარმოო გეგმებს ყველა ეკონომიური მაჩვენებლით ასრულებდეს რესპუბლიკის ყველა საწარმო.

რაც შეეხება პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხს, უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ საკმაო ყურადღება არ ექცევა ფართო მოხმარების საგნების წარმოების ხარისხის გაუმჯობესებას, სავაჭრო ორგანიზაციებთან შეთანხმებული ასორტიმენტით საქონლის გამოშვებას.

ასე, მაგალითად:

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის სამღებრო საამქროს 1953 წლის განმავლობაში გადასამუშავებლად დაუბრუნდა 460.861 მეტრი მზა ქსოვილი არასაბრისხობრივი შეღებვის მაზეზით.

მარელისის საავეჯო ფაბრიკას 1953 წლის ბოლომდე უნდა გამოეშვა გაუმჯობესებული ნიმუშის 127.500 სკამი, გამოუშვა მხოლოდ 10.957 ცალი ანუ გეგმის 9 პროცენტი.

ასეთი მუშაობის მაგალითები, სამწუხაროდ, ბევრი მოგვეპოვება. 1953 წელს სავაჭრო ორგანიზაციებმა საკონტროლო შემოწმების შედეგად დიდი რაოდენობით ჩამოსახარისხეს გამოშვებული პროდუქცია და გადასამუშავებლად დაუბრუნეს სამრეწველო საწარმოებს.

სავაჭრო ორგანიზაციების მუშაკები მოვალენი არიან კიდევ უფრო გააძლიერონ კონტროლი, უფრო მკაცრი მოთხოვნები წაუყენონ მრეწველობას, რომ გადიდდეს მრავალფეროვანი ასორტიმენტისა და მაღალი ხარისხის საქონლის გამოშვება მომხმარებელთა გაზრდილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

„საბჭოთა ხალხს, — ამბობს ამხანაგი მალენკოვი, — უფლება აქვს მოგვთხოვოს და პირველ რიგში მოსთხოვოს მასობრივი მოხმარების საგნების მწარმოებელი მრეწველობის მუშაკებს გამძლე, კარგად გამოყვანილი, მაღალხარისხოვანი საქონელი. ჩვენ მოვალენი ვართ ამ მოთხოვნას საქმით ვუპასუხოთ. თვითეული საწარმოს მოვალეობაა გამოუშვას მაღალი ხარისხის პროდუქცია, მუდამ ზრუნავდეს ნაწარმის კარგი ხარისხისა და გარეგნულად კარგად გამოყვანისათვის“.

ამხანაგო დეპუტატებო! სოციალისტური მეურნეობის ბევრ საწარმოს და საბიუჯეტო ორგანიზაციებს მიღწევები აქვთ სახელმწიფო სახსრების მიზნობრივად და მომჭირნეობით გამოყენების საქმეში.

ამავე დროს საანგარიშო წლის განმავლობაში იყო უკანონო ხარჯების გაწევისა და საბიუჯეტო-საშტატო დისციპლინის უხეში დარღვევის შემთხვევები.

გუდაუთის რაიონის განათლების განყოფილებამ კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული თანხა — 155 ათასი მანეთი დახარჯა სკოლის ახალ მშენებლობაზე, მახარაძის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებამ უკანონოდ დახარჯა 186 ათასი მანეთი.

აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაწესებულებებში გასულ წელს გამოვლინებულ იქნა გადახარჯვა ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯებში 218 ათასი მანეთი და ა. შ.

ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო აპარატმა 1953 წელს ჩატარებული რევიზიის შედეგად აღმოაჩინა საბიუჯეტო და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ უკანონოდ დახარჯული 17.056 ათასი მანეთი.

საქართველოს სსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილში წარმოდგენილია 2.775.186 ათასი მანეთის მოცულობით, რაც 119.129 ათასი მანეთით აღემატება გასული წლის ბიუჯეტით გაწეულ ფაქტიურ ხარჯებს.

სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი შემოსავლის წყაროს შეადგენს სოციალისტური საწარმოებისა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების დაგროვება და შემოსავალი.

1954 წლის ბიუჯეტის პროექტით სახალხო მეურნეობისათვის ხარჯები გათვალისწინებულია 796.845 ათასი მანეთის ოდენობით, რაც მთელი ხარჯების 28,7 პროცენტს შეადგენს.

სახალხო მეურნეობის ცალკე დარგები 1954 წლის ბიუჯეტით დაფინანსებული იქნება: მრეწველობა 235.656 ათასი მანეთით, სოფლის მეურნეობა — 288.035 ათასი მანეთით. გარდა საბიუჯეტო თანხებისა, 1954 წელს სახალხო მეურნეობაში საწარმოებისა და ორგანიზაციების საკუთარი სახსრებიდან დაბანდებულ იქნება 587.619 ათასი მანეთი.

ეს თანხები უზრუნველყოფენ ჩვენი რესპუბლიკის სოციალისტური ეკონომიკის ყველა დარგის შემდგომ აღმავლობას, სახალხო მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობის ამაღლებას, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოშვების გადიდებას. ძნელია ამისათვის საჭიროა უფრო სრულად გამოვიყენოთ მეურნეობაში არსებული შინაგარეზერვები, განუწყვეტლივ ვზარდოთ შრომის ნაყოფიერება სოციალისტური მეურნეობის ყველა დარგში.

შრომის ორგანიზაციის სწორად მოწყობის შედეგად, ჩვენი მდიდარი საბჭოთა ტექნიკისა და მთელი საწარმოო საშუალებების სრული სიმძლავრით გამოყენების საფუძველზე ჩვენს საწარმოებში და მშენებლობებზე სისტემატურად უნდა იზრდებოდეს შრომის ნაყოფიერება და მცირდებოდეს პროდუქციის თვითღირებულება.

ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობას ყველა საშუალება აქვს წარმატებით უზრუნველყოს საწარმოო გეგმებით გათვალისწინებული მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება.

საქართველოში ყოველწლიურად მნიშვნელოვანი თანხები იხარჯება სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა გასატარებლად. საქართველოს სსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით ამ ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 1.766.286 ათასი მანეთი, რაც 74.628 ათასი მანეთით მეტია, ვიდრე ფაქტიურად დაიხარჯა 1953 წელს. აქედან სახალხო განათლების ღონისძიებათა დაფინანსებას მოხმარდება 1.103.223 ათასი მანეთი, ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებსა და დაწესებულებებს—472.591 ათასი მანეთი. ფიზიკური კულტურის ღონისძიებებს — 13.964 ათასი მანეთი და სოციუზრუნველყოფას — 176.508 ათასი მანეთი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ უმაღლესი საბჭოს სესიის დასამტკიცებლად წარმოდგენილი 1954 წლის ბიუჯეტის პროექტი შედგენილია სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის სრული შესაბამისობით და მიზნად ისახავს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, კულტურის და ხალხის კეთილდღეობის შემდგომ აღმავლობას.

საბიუჯეტო კომისიას წინადადება შემოაქვს წარმოდგენილი 1954 წლის ბიუჯეტი და 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში დამტკიცდეს უცვლელად.

საბიუჯეტო კომისია მოახსენებს სესიას, რომ კომისიამ განიხილა აგრეთვე ადგილებიდან შემოსული განცხადებები ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტში ზოგი ცვლილების შეტანის შესახებ.

სახელდობრ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭო ქალაქ სოხუმის აბანოების კაპიტალური რემონტისათვის დამატებით თხოულობს 300 ათას მანეთს. ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა შენობების კაპიტალური რემონტისათვის 300 ათას მანეთს, ამავე დაწესებულებებისათვის სპეციალური და საშეურნეო ინვენტარის შესაძენად 500 ათას მანეთს, გულრიფშში ახალი აბანოს ასაგებად 400 ათას მანეთს, ბომბორის 8-წლიანი რუსული სკოლის მშენებლობისათვის 280 ათას მანეთს, სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტდარბაზის მოწყობისათვის 140 ათას მანეთს, ახალი აფხაზური შრიფტის და სხვა პოლიგრაფიული ხელსაწყოს შესაძენად 390 ათას მანეთს.

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო ითხოვს: კურორტებზე კაპიტალური რემონტისათვის 1 მილიონ მანეთს, სამკურნალო დაწესებულებებისათვის 500 ათას მანეთს, განათლების ხაზით 600 ათას მანეთს, გზების შესაკეთებლად 350 ათას მანეთს, ჯანმრთელობის დაცვის ობიექტებისა და ახალი გზების მშენებლობისათვის 800 ათას მანეთს, თეატრების, მუსიკალური ინსამბლის, ფილარმონიისათვის დოტაციას 600 ათას მანეთს და კომუნალური მეურნეობის ხაზით საოპერაციო ხარჯებისათვის 1 მილიონ მანეთს.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ითხოვს: ქალაქ სტალინირის და რაიაცენტრების კეთილმოსაწყობად, ხიდების ასაგებად, სასპორტო დარბაზის რეკონსტრუქციისათვის 2 მილიონ მანეთს, ჯანმრთელობის დაცვის დარგში კაპიტალური რემონტისათვის 200 ათას მანეთს, განათლების ხაზით 300 ათას მანეთს, საბჭოების შენობათა რემონტისათვის 200 ათას მანეთს.

ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ქალაქის კეთილმოწყობისათვის დამატებით ითხოვს 1 მილიონ მანეთს, ქალაქში ხიდის მშენებლობისათვის 300 ათას მანეთს, ქალაქში კაპიტალური მშენებლობისათვის 300 ათას მანეთს, ტროლეიბუსის მე-3-4 რიგის ექსპლოატაციის დაწყებასთან დაკავშირებით მანქანების შესაძენად 620 ათას მანეთს.

ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომი ითხოვს განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ქსელისათვის სპეციალური და სამეურნეო ინვენტარის შესაძენი ხარჯები გაუდიდდეს 140 ათასი მანეთით.

გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომი ითხოვს დამატებითს ასიგნობებს ქალაქის სკოლების კაპიტალური რემონტისათვის 70 ათას მანეთს, თეატრის კაპიტალური რემონტისათვის 220 ათას მანეთს, სტალინის პროსპექტის კეთილმოწყობისათვის 300 ათას მანეთს, ახალი ხიდის მისასვლელის გაკეთებისათვის 500 ათას მანეთს.

რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომი ითხოვს ხარჯების გადიდებას ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 1 მილიონ მანეთით.

ზუგდიდის რაასაბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ითხოვს ქალაქის კეთილმოწყობისათვის დამატებით 220 ათას მანეთს, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ხაზით კაპიტალური რემონტისათვის 210 ათას მანეთს, დაწესებულებებისათვის მაგარი ინვენტარის შესაძენად 230 ათას მანეთს.

ბორჯომის რაასაბჭოს აღმასკომი ითხოვს დამატებით თანხებს ხიდისა და აბანოს რეკონსტრუქციისათვის, ქალაქის კეთილმოსაწყობად, ქუჩების გასაფართოებლად და კულტურის სახლში საშტატო ერთეულების გაზრდას.

ახმეტის რაასაბჭოს აღმასკომი ითხოვს ბიუჯეტში მტს-ებიდან შემოსავლისა და მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადის თანხების შემცირებას.

ამასთან დაკავშირებით საბიუჯეტო კომისიამ საჭიროდ ცნო ყველა პრეტენზია, რომელიც დაკავშირებულია კაპიტალურ დაბანდებებთან (მშენებლობა, რეკონსტრუქცია, სპეციალური და სამეურნეო ინვენტარის შეძენა), განსახილველად გადაეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს. მიიღო რა მხედველობაში გორის თეატრის შენობის მდგომარეობა, საბიუჯეტო კომისიამ გადაწყვიტა საქართველოს მინისტრთა საბჭოს წინაშე დააყენოს საკითხი ამ თეატრის კაპიტალური რემონტის შესახებ.

საბიუჯეტო კომისიამ დაავალა საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით დაუზუსტოს ახალი აფხაზური შრიფტის და ლინოტიპის შესაძენი თანხის ოდენობა მისი გაღების მიზნით 1954 წლის ბიუჯეტის შესრულების წესით.

უდიდესი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ჩაიარა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა. ქართველმა ხალხმა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად ერთსულოვნად მისცა ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს. მან ამით ერთხელ კიდევ ცხადყო თავისი უსაზღვრო ერთგულება და სიყვარული ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი. იგი უკეთ რაზმავს თავის რაგებს და განუხრელად ახორციელებს პარტიისა და მთავრობის ყველა გადაწყვეტილებას.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს მშრომელები, საბჭოთა სახელმწიფოს ყველა ხალხთან ერთად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით გააკეთებენ ყველაფერს, რათა წარმატებით შესრულდეს 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომ ზრდასა და განვითარებას, საქართველოს მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის კიდევ უფრო ამაღლებას.

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის ყველა გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს — ჩვენს დიად კომუნისტურ პარტიას და მის ლენინურ-სტალინურ ცენტრალურ კომიტეტს.

(ტაში).

საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი

ჟენევა, 27 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ცხრა დელეგაციის დახურული სხდომა განაგრძობდა ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის საკ[illegible] [illegible] სხდომა ამ საკითხზე გაიმართება 29 მაისს.

ჟენევის თათბირის გარშემო

ჟენევა, 27 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). როგორც ცნობილი გახდა, ინდოჩინეთის საკითხის განხილვის მსვლელობაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციამ ჩამოაყალიბა თავისი წინადადებანი, რომლებიც ითვალისწინებენ ინდოჩინეთში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ძირითად პრინციპებს.

ეს წინადადებანი ითვალისწინებენ, რომ საკმაო შეწყვეტონ ცეცხლი მეომარი მხარეების მთელმა შეიარაღებულმა ძალებმა — სახმელეთო, საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალებმა, — რაც უნდა განხორციელდეს ერთსა და იმავე დროს ინდოჩინეთის მთელ ტერიტორიაზე. მხარეები იწყებენ მოლაპარაკებას, რათა შესაბამისად მოაწესრიგონ საკითხი იმ რაიონების ტერიტორიის შესახებ, რომლებიც მათ დაიკავეს, განსაზღვრონ წესი, თუ როგორ გაატარონ ჯარები მხარეებმა ზემოაღნიშნული მოწესრიგების დროს და სხვა საკითხებზე, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას ამასთან დაკავშირებით.

არსებული ცნობებით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციამ აგრეთვე წინადადება შეიტანა, რომ ინდოჩინეთის მთელ ტერიტორიაზე სამხარი მოქმედების შეწყვეტასთან ერთად შეწყდეს ახალი სამხედრო ნაწილებისა და ყველა სახეობის სამხედრო პერსონალის, ავრეთვე ყოველგვარი იარაღისა და სომარი მასალების გარედან გაგზავნა ინდოჩინეთში.

ჩინეთის დელეგაციის წინადადებათა თანახმად, სომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პირობების დაცვისათვის წესდება კონტროლი ორივე მხარის სარდლობათა წარმომადგენელთაგან შექმნილი შერეული კომისიების მხრივ. აღნიშნული შეთანხმების შესრულებისათვის წესდება აგრეთვე საერთაშორისო მეთვალყურეობა ნეიტრალური ქვეყნების კომისიის მხრივ.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციას წინადადება შეაქვს, რომ ნეიტრალური ქვეყნების კომისიის შემადგენლობის საკითხი დამატებით იქნას განხილული. ჟენევის თათბირის მონაწილე სახელმწიფოები შეთანხმების შესრულების გარანტიას იძლევიან. რაც შეეხება შესაბამის სახელმწიფოთა ვალდებულებების ხასიათთან დაკავშირებულ საკითხებს, ისინი აგრეთვე დამატებით უნდა იქნას განხილული.

ბოლოს, წინადადებები ითვალისწინებენ სამხედრო ტყვეებისა და ინტერნირებული სამოქალაქო პირების ურთიერთ განთავისუფლებას.

აქ ყურადღებას აქცევენ იმას, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წინადადებანი შეიცავენ ყველა ძირითად დებულებას, რომლებზე შეთანხმებაც შესაძლებელს გახდიდა უახლოეს დროში შეწყდეს საომარი მოქმედება ინდოჩინეთის მთელ ტერიტორიაზე. როგორც ცნობილი გახდა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წინადადებებს განიხილავს თათბირის შემდეგი სხდომა.

არსებული ცნობებით, მიღწეულია შეთანხმება, რომ 9 დელეგაციის წარმომადგენლები შეხვდებიან ერთმანეთს თათბირის მორიგ სხდომამდე, რათა წინასწარი წესით განიხილონ ინდოჩინეთის საკითხზე შეტანილი წინადადებანი.

იუწყებიან, რომ საფრანგეთის დელეგაციამ თავის მხრივ შეიტანა პროექტი წინადადებებისა, რომლებიც შეეხება სამხედრო საკითხების მოწესრიგებას. ეს წინადადებანი, არსებული ცნობებით, წინადებურად ასახავენ საფრანგეთის დელეგაციის მისწრაფებას ჩამოაშოროს ლაოსისა და კამბოჯის საკითხის განხილვა ვიეტნამის საკითხს და ამრიგად თავი აარიდოს ქმედითი გადაწყვეტილების მიღებას, რომლის მიზანია ერთდროულად შეწყდეს სომარი მოქმედება ინდოჩინეთის მთელ ტერიტორიაზე.

ჟენევა, 27 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). საბჭოთა პრესამ უკვე გააშუქა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის პოზიცია, რომლის მიზანია საკმაო ერთსა და იმავე დროს და უსწრაფესად შეწყდეს ცეცხლი ინდოჩინეთში. ეს პოზიცია მხურვალედ მოიწონეს ფართო საზოგადოებრივმა წრეებმა, რომლებიც დაინტერესებული არიან ინდოჩინეთის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგებით. ბევრი გაზეთი წერს, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის პოზიციამ გააძლიერა შეთანხმების მიღწევის იმედი.

ამასთან ერთად ზოგიერთი გაზეთი, იმ წრეების რუპორი, რომლებიც დაინტერესებული არ არიან იმით, რომ წარმატებით გადაწყდეს ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის საკითხი, თავის კომენტარებში ასახავს იმისადმი მისწრაფებას, რომ დამახინჯებულად გააშუქოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წინადადებანი. მაგალითად, ეს გაზეთები ამტკიცებენ, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წინადადებანი თითქოს ითვალისწინებენ ინდოჩინეთის ტერიტორიის გაყოფას.

ასეთი მტკიცებანი უნდა შევაფასოთ მხოლოდ როგორც წინასწარ განზრახული დამახინჯება ნამდვილი მდგომარეობისა. ცნობილია, რომ ახლანდელ სტადიაში განიხილავდნენ მხოლოდ სამხედრო საკითხებს, რომლებსაც შეიცავენ როგორც საფრანგეთის დელეგაციის 8 მაისის წინადადებანი, ისე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის 10 მაისის წინადადებანი. ამ განხილვის მსვლელობაში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციამ ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია იმ საკითხებზე, რომ ერთსა და იმავე დროს შეწყდეს ცეცხლი მთელი ინდოჩინეთის ტერიტორიაზე, განისაზღვროს მეომარი მხარეების ჯარების განლაგების ზონები, შეწყდეს ახალი ჯარებისა და შეიარაღების გაგზავნა ინდოჩინეთში და სხვ.

რაც შეეხება ინდოჩინეთის პრობლემის პოლიტიკურ მხარეს, როგორც ცნობილია, ის ჯერ კიდევ არ განუხილავთ დახურულ სხდომებზე. აგრეთვე ცნობილია, რომ თათბირის მსვლელობაში გამომეყოვანნა საფრანგეთის დელეგაციისა და ზოგიერთი სხვა დელეგაციის მისწრაფება — ჩამოაშორონ ინდოჩინეთში ომის შეწყვეტის საკითხი თუნდაც ზოგიერთი პოლიტიკური პრობლემის გადაწყვეტას. საფრანგეთის დელეგაციის 8 მაისის წინადადებები, როგორც ცნობილია, ამ პოლიტიკურ პრობლემებს სრულიად უვლიან გვერდს. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციამ კი შეიტანა მთელი რიგი წინადადებანი, რომელთა მიზანია არა მარტო ცეცხლის შეწყვეტა, არამედ მთელი ინდოჩინეთის პრობლემის მტკიცე და საბოლოო გადაწყვეტა მთლიანად ინდოჩინეთის ხალხთა კანონიერი ეროვნული უფლებების აღიარების საფუძველზე. ეს წინადადებანი თვალისწინებენ, რომ საფრანგეთმა ცნოს ვიეტნამის სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა ვიეტნამის მთელ ტერიტორიაზე. აგრეთვე კბმერისა და პატეტლაოს სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა, მოეწყოს საყოველთაო თავისუფალი არჩევნები ინდოჩინეთის ყველა სახელმწიფოში იმ მიზნით, რომ შეიქმნას ერთიანი მთავრობა თვითეულ ქვეყანაში, და სხვ.

თავისი წინადადებანი, რომლებიც შეეხება ინდოჩინეთის პრობლემის პოლიტიკურ მოწესრიგებას და, როგორც ყველასათვის ცხადია, საერთო არა აქვს რა ინდოჩინეთის გაყოფასთან, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციამ წარადგინა თათბირის განსახილველად ჯერ კიდევ 10 მაისს. ბუნებრივია მეორე მხარისგანაც მოველოდეთ მისი პოზიციის ჩამოყალიბებას პოლიტიკურ პრობლემებზე და იმას, რომ თათბირის მონაწილეებმა რაც შეიძლება მალე განიხილონ ეს პრობლემები. სამხედრო საკითხების განხილვასთან ერთად ეს ხელს შეუწყობდა იმას, რომ გამორკვეულიყო საერთო სურათი ყველა საკითხზე მთლიანად, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა თათბირის მუშაობის წარმატებას.

საფრანგეთის რესპუბლიკის საბჭოში

პარიზი, 27 მაისი. (საკდესი). საფრანგეთის რესპუბლიკის საბჭოს 25 მაისის სხდომაზე ერთმანეთს შეეკამათნენ დეგოლელთა პარტიის მოღვაწე მიშელ დებრე და საგარეო საქმეთა სტატს-მდივანი მორის შუმანი „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ საკითხზე.

როგორც გაზეთი „მონდი“ წერს, მორის შუმანი ამტკიცებდა, რომ ხელშეკრულება „ევროპის არმიის“ შექმნის შესახებ ითვალისწინებს „განსაკუთრებული სამხედრო ხასიათის“ საოდუმლო მუხლებს, რომლებიც შეეხება მომავალი „ევროპის არმიის“ შენაერთების რიცხვს, შემადგენლობასა და შეიარაღებას.

შეეკამათა რა შუმანს, დებრემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარიზის ხელშეკრულებაში პოლიტიკური საოდუმლო მუხლებიც არის. „ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული შენაერთების ეროვნული შემადგენლობა, — თქვა ორატორმა, უთუოდ პოლიტიკური ხასიათის საკითხია“. შემდეგ დებრემ განაცხადა, რომ ხელშეკრულება „შესაძლებელს გახდის ფრანგ მეთაურთა შემადგენლობა შეიცვალოს სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებით, რადგან საფრანგეთს არ შეუძლია მისცეს მეთაურთა შემადგენლობა იმ რაოდენობით, რომელსაც მისგან მოითხოვენ“.

დებრემ თქვა, რომ პარიზის ხელშეკრულება ჯერ-ჯერ არ არის გამოცხადებული იმიტომ, რომ მასში სწორედ ეს პოლიტიკური ხასიათის საიდუმლო მუხლებია.

აღნიშნა რა, რომ მთავრობას ჯერაც არ მოუთხოვია საფრანგეთის სახელმწიფო საბჭოს აზრი პარიზის ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხზე, დებრემ განაცხადა: „მთავრობა არ უარყოფს იმას, რომ იგი უნდა მოეთათბიროს სახელმწიფო საბჭოს, მაგრამ მას ამისა ეშინია“.

საფრანგეთის ჯარების ახალი კონტინგენტები იგზავნება ინდოჩინეთში

საფრანგეთის ეროვნული თავდაცვის კომიტეტში

პარიზი, 27 მაისი. (საკდესი). გუშინ ელისეს სასახლეში რესპუბლიკის პრეზიდენტის კოტის თავმჯდომარეობით გაიმართა საფრანგეთის ეროვნული თავდაცვის კომიტეტის სხდომა მთავრობის წევრებისა და საფრანგეთის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი ხელმძღვანელების მონაწილეობით. ჟორჟ ბიდო, რომელიც ჟენევიდან პარიზს ჩამოვიდა მინისტრთა საბჭოს სხდომაში მონაწილეობისათვის, სპეციალურად შეჩერდა, რათა დასწრებოდა ეროვნული თავდაცვის კომიტეტის სხდომას.

კომიტეტმ

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესია

ბერლინი, 25 მაისი. (საკუთარი). დღეს დილის სხდომაზე, რომელსაც ეფენი კოტონი თავმჯდომარეობდა, გრძელდებოდა კამათი პრატის მოხსენების გამო.

პირველმა სიტყვა წარმოთქვა პროფესორმა პეტროს კოკალისმა (საბერძნეთი). მან მოიყვანა ფაქტები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ შეერთებულ შტატებს, რომლებმაც თავიანთ სამხედრო ბაზად გადააქციეს საბერძნეთი, ახლა სურთ გადააქციონ იგი ატომური ომის მომზადების ბაზად.

აკადემიკოსმა ლიუდმილ სტოიანოვმა (ბულგარეთი) სესიის ყურადღება მიიქცია აგრესიული ძალების სამხედრო გეგმებს ბალკანეთში. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბალკანეთის პაქტი, რომელიც დაიდო თურქეთს, საბერძნეთსა და იუგოსლავიას შორის ამერიკის შეერთებული შტატების მფარველობით, შეშფოთებას იწვევს ბულგარელ ხალხში და აძლიერებს დაძაბულობას ბალკანეთში.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა მშვიდობისათვის მებრძოლ გერმანელთა საბჭოს თავმჯდომარემ პროფესორმა ვ. ფრიდრიხმა, რომელმაც ალაბრაკა გერმანიის მშვიდობისათვის მებრძოლთა მოძრაობის წარმატებებსა და ამოცანებზე.

პროფესორმა ვ. ფრიდრიხმა აღნიშნა საომარი მზადება, რასაც ეწევიან ბონის რევანშისტები და მილიტარისტები დასავლეთ გერმანიაში, კერძოდ, მან აღნიშნა, რომ დასავლეთ გერმანიაში მიმდინარეობს მზადება ატომური ომისათვის ევროპაში. ამასთან დაკავშირებით მან სესიის მოუწოდა იბრძოლოს ამისათვის, რომ საყოველთაოდ აიკრძალოს მასობრივი მოსპობის ყველა სახეობის იარაღის გამოყენება და გამოვიდეს ამ პოლიტიკური ძალების წინააღმდეგ, რომლებსაც სურთ მეცნიერების ნაყოფი გამოიყენონ კაცობრიობის საზიანოდ.

შემდეგ გამოვიდა დოქტორი კენძიერო იანაგიდა (იაპონია), მან აღნიშნა, რომ მთელ იაპონიაში დიდი მოძრაობაა ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის.

იანაგიდამ განაცხადა, რომ ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვას მხარს უჭერენ იაპონიის პარლამენტის ორივე პალატა, უდიდესი ქალაქების მუნიციპალური საბჭოები, მრავალი სამეცნიერო საზოგადოება, პროფკავშირები, ახალგაზრდობისა და ქალთა ორგანიზაციები და რელიგიური ჯგუფები. ახლა იაპონიაში დაიწყო თერმოგულური იარაღის აკრძალვის შესახებ პეტიციაზე ხელის მოწერის შეგროვების კამპანია.

იანაგიდამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ახლანდელმა სესიამ საფუძველი უნდა ჩაუყაროს ყველ ქვეყნის ზუსტი მეცნიერების წარმომადგენელ მეცნიერთა, აგრეთვე ექიმთა მოძრაობას ატომური იარაღის აკრძალვისათვის, უნდა დაარწმუნოს მეცნიერები, რომ მონაწილეობა არ მიიღონ ახალი სახეობის ბაქტერიოლოგიური, ქიმიური და მასობრივი მოსპობის სხვა საშუალებების შემუშავებაში.

ლიბანის დელეგატმა ჟორჟ ხანმ აღნიშნა, რომ ბევრ ქვეყანაში მშვიდობისათვის ხალხთა ბრძოლის საკითხი დაკავშირებულია კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან.

აღმოსავლეთის ხალხებს აღარ სურთ შეუერიგდნენ მონურ მდგომარეობას. ლიბანელ ხალხს არა სურს მისცდოს ამერიკის პოლიტიკას, რომელიც აზიისა და სხვა ქვეყნების ხალხთა დაკაბალების ახალ მეთოდებს პოულობს.

ლიბანის დელეგატის შემდეგ გამოვიდა ფინეთის წარმომადგენელი პროფესორი ფელქს ივერსენი, რომელმაც მშვიდობის მსოფლიოს საბჭოს სესიაზე წამოაყენა წინადადება, რომ ყველგან გაჩაღდეს ახსნაგანმარტებითი კამპანია ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის და ამ იარაღის შემდგომი გამოცდის აკრძალვისათვის.

სესიის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს საერთაშორისო სამართლის პროფესორის ჰენრიხ ბრანდვაინერის (ავსტრია) სიტყვა. პროფესორმა ბრანდვაინერმა ცხადყო, რომ წყნარი ოკეანის ატოლ ბიკინზე წყალბადის ბომბის აფეთქების შედეგად შეერთებულმა შტატებმა დაარღვიეს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მთელი რიგი ძირითადი პრინციპები. მან განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უნდა განახორციელოს ღონისძიებანი ომის წინააღმდეგ, რომ შეერთებული შტატები აწარმოებდნენ მასობრივი მოსპობის იარაღის გამოცდას და რომ მსოფლიო საზოგადოებრიობამ უნდა აღიმაღლოს ხმა და მკაფიოდ განაცხადოს, რომ შეერთებულ შტატებს აკისრიათ სრული პასუხისმგებლობა წყნარ ოკეანეში წყალბადის ბომბების ექსპერიმენტულ აფეთქებათა შედეგებისათვის.

შემდეგ სიტყვა ეძლევა სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის გენერალურ მდივანს ირეა პელიკანს. მან აღნიშნა, რომ სტუდენტთა უმრავლესობას სურს მშვიდობა, სურს თავისი სიცოცხლე მოახმაროს მშვიდობიან, შემოქმედებითს მოღვაწეობას.

შემდეგ გამოვიდა მუსტაფა ამინი (სირია), რომელმაც აღნიშნა, რომ სირიელი ხალხი იბრძვის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ომის წინააღმდეგ, რომ სირია შეყვანილ იქნას რეაქციულ ძალთა აგრესიულ გეგმებში.

ამ ბრძოლის შედეგად, თქვა მან, სირიის ტერიტორიაზე ახლა არ არის უცხოელთა სტრატეგიული ბაზები და სამხედრო ნაგებობანი და სირია არ მონაწილეობს არავითარ აგრესიულ სამხედრო პაქტსა თუ ხელშეკრულებაში.

მაგრამ, ისევე როგორც არაბთა სხვა ქვეყნები, სირია განიცდის ზეგავლენას ატომური სიკვდილით მოვაკრეთა მხრივ, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევენ ჩვენს ქვეყანას.

დილას, სხდომის დასასრულს წაიკითხეს წერილი ერთიანობისათვის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ გერმანელთა კავშირის თავმჯდომარის ვ. ელფესისა (დასავლეთი გერმანია), რომელიც ვერ ჩამოვიდა ბერლინს, რომ მონაწილეობა მიეღო მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ამ სესიის მუშაობაში.

სსრ კავშირში ჩემი მოგზაურობიდან მე გავაკეთე შემდეგი დასკვნები: საბჭოთა ადამიანები მუშაობენ განსაკუთრებული ენერგიით, რათა უფრო ლამაზი გახადონ თავიანთი შრომა და თავიანთი ცხოვრება; საბჭოთა კავშირი საკუთარი ძალებით უზრუნველყოფს სწრაფ ეკონომიურ და სოციალურ განვითარებას; საბჭოთა კავშირის ხალხსა და მთავრობას უყვართ მშვიდობა და ერთსულოვნად ესწრაფვიან ხალხთა შორის მეგობრობას.

ეს დასკვნები მე ფრიად დიდმნიშვნელოვნად მიმაჩნია, და რამდენადაც შეძლებთ ეს დასკვნები შევაგებინოთ ყველა ხალხს, იმდენადვე ჩაიფუშება ყველა ჯურის ფაშისტებისა და მილიტარისტების გეგმები. ამიტომ ვიმოქმედოთ მთელი ენერგიით, რომ გზა გავუკაფოთ სიმართლეს.

წერილში ვ. ელფესი წერს, რომ ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ ხელშეკრულება, რომელსაც შეუერთდებოდა ევროპის ყველა ხალხი, ბოლოს მოუღებს ევროპის საბეღისწერო გათიშვას და შექმნის მტკიცე საფუძველს ხალხთა შორის მშვიდობისათვის.

ბერლინი, 26 მაისი. (საკუთარი). გუშინდელ საღამოს სხდომაზე ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანების გენერალური მდივნის ფერენც ბოეკისა და ტომას კრისტენსენის (დანია) გამოსვლის შემდეგ თავმჯდომარემ ლეოპოლდ ინფელდმა სიტყვა მისცა პროფესორ ლოტარ რადაჩენუს (რუმინეთი).

რუმინელი ხალხი, თქვა რადაჩენუმ, განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს ევროპის უშიშროების უზრუნველყოფისადმი, რომელზეც უშუალოდ არის დამოკიდებული მისი საკუთარი უშიშროება.

პროფესორმა რადაჩენუმ თავის კარგად არგუმენტირებულ სიტყვაში ცხადყო, რომ თანამშრომლობა აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის არა მარტო შესაძლებელი, არამედ საჭიროც არის ევროპის ხალხებისათვის, მაშინ როცა „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნის გეგმები გათვალისწინებულია დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის შესანიღბავად, მათი მიზანია ევროპის გათიშვა და ომის მომზადება.

ტრიბუნაზეა არგენტინელი ექიმი ა. კამაროტა.

ჩვენ, ექიმებს, თქვა მან, მუდამ გვაინტერესებდა ბაქტერიებთან ბრძოლის საკითხები, და ამას მოჰყვა ის აღმოჩენები, რომლებიც თავისთავად უკვე ამართლებენ ბიოლოგიური მეცნიერების სახელს. მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში ამ მეცნიერების მიღწევებს უკანასკნელ წლებში იყენებენ არა ადამიანის საკეთილდღეოდ, არამედ აგრესიული სამხედრო მიზნებისათვის. მიკრობებს — ადამიანის ამ მუდმივ მტრებს — სპეციალურად ამრავლებენ და ავითარებენ არა იმისათვის, რომ ისწავლონ მათთან ბრძოლა, არამედ იმისათვის, რომ გაიგონ, რომელი მიკრობია ყველაზე მომაკვდინებელი, ყველაზე ქმედითი ადამიანთა მოსპობისათვის და როგორ უნდა იქნას იგი გამოყენებული რაც შეიძლება უფრო ეფექტიანად.

შემდეგ სიტყვა ეძლევა საბჭოთა მწერალს ნიკოლოზ ტიხონოვს.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიის ამ მაღალ ტრიბუნიდან, თქვა ნ. ტიხონოვმა, საბჭოთა დელეგაცია, გამოთქვამს რა მთელი მშვიდობისმოყვარე საბჭოთა ხალხის ნებას, კვლავ და კვლავ ადასტურებს თავის მოთხოვნას ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობის იარაღის სრული აკრძალვისა და ამ აკრძალვის განხორციელებისადმი სასტიკი კონტროლის დაწესების შესახებ.

შემდეგ გამოვიდა სენატორი ემილიო სერენი (იტალია).

იგი დაწვრილებით შეეხო იმ მოძრაობას, რომელიც იტალიაში ვითარდება მშვიდობისა და მოლაპარაკების გზით სადავო საკითხების გადაჭრისათვის. ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ მოძრაობაში სულ ახალ-ახალი ადამიანები ებმებიან.

თავისი სიტყვის დასასრულს სერენიმ აღნიშნა, რომ ამ უკანასკნელ წლებში მშვიდობის ძალები ყველგან განუზომლად გაიზარდნენ. ახლა საქმე ეხება იმას, რომ დამყარდეს ყოველგვარი კონტაქტი, გაერთიანდნენ მთელი ძალები, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის, ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ, საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი გადაჭრისათვის, ცივილიზაციის შენარჩუნებისათვის.

სხდომის დასასრულს გამოვიდა ფრანგი მწერალი ჟან-პოლ სარტრი.

ბერლინი, 26 მაისი. (საკუთარი). დღევანდელი დილის სხდომის პირველი ნაწილი მიეძღვნა ჯ. ნ. პრიტის გამოსვლაში აღძრულ საკითხთა განხილვას, სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს: მღვდელმა ლ. ჯ. ბლისმა (ინგლისი). კუბის მშრომელთა კონფედერაციის გენერალურმა მდივანმა ლასარო პენია გონსალესმა და ჟურნალისტმა მაკლბერგმა (კანადა).

შემდეგ სიტყვა მიეცა დ'ასტიე დე ლა ვიჟერის (საფრანგეთი), რომლის გამოსვლითაც იწყება დღის წესრიგის მეორე პუნქტის — „ერთა უშიშროების“ საკითხის განხილვა.

დ'ასტიე დე ლა ვიჟერიმ თავისი სიტყვის დასაწყისში ხაზგასმით აღნიშნა მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის მნიშვნელობა, რამაც ყველა რწმენის, ყველა ქვეყნის, ყველა რასის მშვიდობისმოყვარე ადამიანებს შესაძლებლობა მისცა გაერთიანდნენ. ამ მოძრაობამ, თქვა ორატორმა, საშუალება უნდა მისცეს მშვიდობისმოყვარე ადამიანს მოელაპარაკოს ყველა ძმას, რომ გაერკვეს საერთაშორისო მდგომარეობაში, განსაზღვროს მშვიდობის გზები და ის დაბრკოლებანი, რომლებიც ამ გზაზეა, და ბოლოს შეიმუშაოს ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანისათვის მისაღები მოქმედების საერთო გეგმა.

დ'ასტიე დე ლა ვიჟერიმ თქვა, რომ არსებობს უშიშროების ორი ცნება. ერთი მათგანი, რომელიც ემყარება შეიარაღებასა და სამხედრო ბლოკების შექმნას, იწვევს მსოფლიოს დაყოფას ჭტრულ ბანაკებად, გამაღლებულ შეიარაღებას და ტერიტორიებისათვის ბრძოლას. უშიშროების ეს კონცეფცია იწვევს ომს. მეორე ცნება — ეს არის კოლექტიური უშიშროების ცნება, რომელიც ემყარება სხვადასხვა წყობილების მქონე ქვეყნების მშვიდობიან თანაარსებობას.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა, თქვა მან, ის არის, რომ მოუწოდოს ხალხებს მხარი დაუჭირონ ომის მოთხოვნას, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირი გაგრძელდეს და რომ დაინტერესებულმა მთავრობებმა განაახლონ შეწყვეტილი მოლაპარაკება.

დაახასიათა რა ევენევის თათბირისადმი მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის დამოკიდებულება, დ'ასტიე დე ლა ვიჟერიმ თქვა, რომ საზოგადოებრივმა აზრმა სასტიკად უნდა დაგმოს ამ თათბირის ჩაშლის ცდები. საზოგადოებრიობამ უნდა დაგმოს საფრანგეთისა და ამერიკის მთავრობებს შორის ევენევის თათბირის ფარგლებს გარეთ დაწყებული მოლაპარაკება, რომლის მიზანია ამერიკის სამხედრო ინტერვენცია ინდოჩინეთში. ასეთი ინტერვენცია დაკავშირებული იქნებოდა კონფლიქტის გაფართოების რისკთან.

შემდეგ მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფა საერთისხმობს გამალებული შეიარაღების შეწყვეტას, რომლის აღგილიც უნდა დაიკავოს ყველა ერს შორის თანამშრომლობამ და მშვიდობიანმა შეჯიბრებამ.

დასასრულ დ'ასტიე დე ლა ვიჟერიმ ხაზგასმით აღნიშნა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გავლენის უდიდესი ზრდა.

* * *

შემდეგ გამოვიდნენ იოსებ გრომადკა (ჩეხოსლოვაკია), ინდოელი მწერალი პანდიტ სუნდერლალი, სრულიად პოლონეთის მშვიდობის მომხრეთა კომიტეტის თავმჯდომარე მწერალი იაროსლავ ივაშკევიჩი.

სხდომის დასასრულს სიტყვა წარმოთქვა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს კიცე-თავმჯდომარემ გო მო-ჟომ.

ბერლინი, 27 მაისი. (საკუთარი). დღეს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესიაზე გრძელდებოდა კამათი დღის წესრიგის მეორე პუნქტის გამო: „ერთა უშიშროება“.

ბირმის პარლამენტის დეპუტატმა, ბირმის პროფკავშირთა კონგრესის თავმჯდომარემ ტაკინ ლუინმა თქვა, რომ აზიის ხალხები ისეთ პირობებში ცხოვრობენ, რომ განუწყვეტლივ საფრთხე მოელით იმპერიალისტური სახელმწიფოებისაგან. მაგრამ წავიდა ის დრო, როცა დაჩნეული ხალხები უდრტვინველად იტანდნენ დამშონებელთა ბატონობას. სულ უფრო ძლიერი ხდება ფრონტი აზიის ხალხებისა, რომლებიც აღდგნენ თავიანთი ეროვნული თავისუფლებისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის საბრძოლველად. ამ ბრძოლაში მათ აღაფრთოვანებს მაგალითი მრავალმილიონიანი ჩინელი ხალხისა, რომელმაც შესანიშნავი პოლიტიკური და ეკონომიური წარმატებანი მოიპოვა.

ამერიკის იმპერიალიზმი, განავრძო ტაკინ ლუინმა, მტრულად ეკიდება აზიის ხალხთა მოძრაობას თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და ცდილობს გარსშემოარტყას ჩინეთს სამხედრო ბაზები, რათა ხელი შეუშალოს ამ დიდ ქვეყანას იაოს მშვიდობის გზით.

ომის მომზრეთა ცდები — შექმნან აგრესიული ბლოკი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში — დანაშაულებრივი აქტია შეერთებული შტატების მხრივ. ამ აქტის მიზანია ძირი გამოუთხაროს მშვიდობას აზიაში, დაიმონონს აზიის ხალხები. ასეთ ცდებს აზიის ხალხები უეჭველია გადაკრით აღკვეთენ.

ჩვენ გვსურს და მოვითხოვთ, განაცხადა დასასრულ ტაკინ ლუინმა, რომ სავსებით აიკრძალოს მასობრივი მოსპობის იარაღი. ჩვენ გვსურს და მოვითხოვთ, რომ ჩინეთის კანონიერი ადგილი მიეცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ჩვენ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ შეწყდეს ომი ინდოჩინეთში და განხორციელდეს ღონისძიებანი, რომლებიც თავიდან აგვაცილებენ საომარი მოქმედების განახლებას კორეაში.

შემდეგ ილაპარაკა ქაშმირის დამფუძნებელი კრების წევრმა კრიშან დევ სეთხმ, რომელმაც უამბო დამსწრეთ, თუ როგორ ერევიან ქაშმირის საშინაო საქმეებში ამერიკელები და ინგლისელები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით. კოლონიური სახელმწიფოები, თქვა სეთხმ, „ცდილობენ შემოიყვანონ ქაშმირის ტერიტორიაზე ჯარები და გადააქციონ ჩვენი ქვეყანა რგოლად სამხედრო ბაზების ჯაჭვისა, რომელიც იწყება იაპონიაში, გადის კორეაზე, ტაივანსა და ინდოჩინეთზე და აღწევს თურქეთსა და საბერძნეთს. სამხედრო ბაზების ეს ჯაჭვი იქმნება იმისათვის, რომ გარსშემოერტყან სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას“.

ქაშმირის ხალხი ინდოეთის ხალხებთან ერთად, ხაზგასმით აღნიშნა სეთხმ იბრძვის თავისი დამოუკიდებლობისათვის, და ორივე ეს ხალხი გაერთიანებულია ერთი სურვილით — დაუყოვნებლივ მოუღონ ბოლო უცხოელთა ჩარევას.

ასად სიმონმა (ბოლივია) ილაპარაკა ამერიკელი მონოპოლისტების მიერ მისი სამშობლოს დამონების შესახებ. ასეულ ათასობით დოლარი, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები სამხედრო მიზნებისათვის ხარჯავენ, თქვა მან, წაგლეჯეს ბოლივიელ მუშებს, რომლებიც კალის მაღაროებში იტანჯებიან.

ინდოელი პოეტისა და რელიგიური მოღვაწის შუდხანანდის გამოსვლის შემდეგ სიტყვა მიეცა შვეიცარიის სამოვდელოების წარმომადგენელს სვენ ჰედტორს.

პროფესორმა ჯ. კ. კუმარაპამ (ინდოეთი) თავისი სიტყვა უძღვნა ომის წარმოშობის ეკონომიური მიზეზების ანალიზს და ეკონომიურ პრობლემებს, რომლებთანაც დაკავშირებულია ბრძოლა მშვიდობისათვის.

შემდეგ ილაპარაკა კორეელ მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, კორეის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ხან სერ იამ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ დღეს აზიის ხალხებს, მათ შორის კორეელ ხალხს, რომელმაც დიდი გმარჯვება მოიპოვა ამერიკელ ინტერვენტებზე, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაიცვან თავიანთი თავისუფლება და დამოუკიდებლობა სრულ გამარჯვებამდე.

ჩვენ მოვითხოვთ ჟენევის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთაგან, განაცხადა ხან სერ იამ, კორეის საკითხის მშვიდობიან გადაჭრას, შორეულ აღმოსავლეთში უშიშროების უზრუნველყოფას და მთელ მსოფლიოში მშვიდობის დამყარებას. ჩვენ მოვითხოვთ ლისინმანელ გამცემთა და მათ სულისჩამდგმელთა საზიზღარი ხრიკების მხილებასა და დაგმობას და იმას, რომ დაუყოვნებლივ აღიკვეთოს მათი ძირგამომთხრელი საქმიანობა კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის წინააღმდეგ, საქმიანობა, რომელიც ახალი მსოფლიო ომის საფრთხეს ქმნის. ჩვენ მოვითხოვთ აკრძალოს მასობრივი მოსპობის იარაღი და შეიქმნას მისდამი კონტროლის საერთაშორისო ორგანოები.

ამისათვის მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ამ საგანგებო სესიაზე შემოგვაქვს წინადადება—მიგვიღოთ სათანადო მიმართვა ჟენევის თათბირის მონაწილეებისადმი და ამავე დროს დედამიწის ყველა კუთხეში გავაჩაღოთ მოძრაობა კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისათვის.

ინგლისში სსრ კავშირის ელჩის განცხადება

ლონდონი, 28 მაისი. (საკუთარი). დღეს სსრ კავშირის ელჩმა დიდ ბრიტანეთში ი. მალიკმა საბჭოთა მთავრობის დავალებით სახელმწიფო მინისტრს სელვინ ლოიდს გაუკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

ინგლისურ გაზეთებში „დეილი მეილში“ 24 აპრილს და „სანდი ტაიმსში“ 25 აპრილს გამოქვეყნდა ცნობები, რომლებიც მოწმობენ, რომ ინგლისის ტერიტორიაზე შეიქმნა და მოქმედებს რაღაც ჯგუფი, რომელიც თავის თავს უწოდებს „რუს სოლიდარისტთა ეროვნულ კავშირს“, და რომელიც მიზნად ისახავს განაზორციელოს დივერსიულ-ძირგამომთხრელი და მტრულ-პროვოკაციული მუშაობა, მიმართული საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. როგორც აღნიშნულ გაზეთებში ნათქვამია, ეს ჯგუფი მუშაობს, კერძოდ, პირების შეგროვებაზე სამშობლოს მოღალატეთა და სამხედრო დამნაშავეთაგან, რომლებსაც ყრთნიან და სსრ კავშირში გზავნიან ჯაშუშურ-დივერსიული და ტერორისტული მუშაობისათვის. აღნიშნული ცნობებიდან სრული სიცხადით ირკვევა აგრეთვე, რომ დანაშაულებრივი ელემენტების ეს ჯგუფი ინგლისში მოქმედებს აშკარად, სარგებლობს რა, მაშასადამე, ინგლისის ხელისუფალთა მფარველობით და რომ მას ეძლევა სრული შესაძლებლობა განაზორციელოს თავისი დანაშაულებრივი საქმიანობა.

ინგლისის მთავრობის ნებართვით ინგლისის ტერიტორიაზე არსებობა და საქმიანობა აღნიშნული ჯგუფისა, რომელიც დივერსიულ-ძირგამომთხრელი, საბჭოთა კავშირისადმი მტრული ორგანიზაციაა, არ შეიძლება განხილულ იქნას ისეთ ორგანიზაციად, რომელიც შეესაბამებოდეს ქვეყნებს შორის ნორმალურ ურთიერთობას, ხოლო ამასთან დაკავშირებით ინგლისის ხელისუფალთა მოქმედება სხვა არა არის რა, თუ არა ჩარევა სხვა ქვეყნის საშინაო საქმეებში. მივაქციე რა დიდი ბრიტანეთის მთავრობის ყურადღებას ზემოაღნიშნულ ფაქტებს, რწმენას გამოვთქვამ, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა დაუყოვნებლივ მიიღებს საჭირო ღონისძიებებს, რათა აღკვეთილ იქნას საბჭოთა კავშირისადმი მტრული აღნიშნული დივერსიულ-ძირგამომთხრელი ორგანიზაციის საქმიანობა, რომელიც ხელს უშლის ჩვენი ქვეყნების ნორმალური ურთიერთობის განვითარებას.

ამერიკელები არღვევენ შეთანხმებას კორეაში დაზავების შესახებ

პეკინი, 27 მაისი. (საკუთარი). სინხუას საგანგებო კორესპონდენტი კესონიდან იუწყება:

ამერიკის მხარემ „დაკონსერვებული პროდუქტების“ სახით პუსანში შეიტანა 106 ნაღმსატყორცნი. ეს დაზავების ნეიტრალური კომისიის 48-ე სხდომას აცნობა კომისიის პოლონელმა წარმომადგენელმა, რომელმაც თავის განცხადებაში დაიმოწმა სპეციალური მოხსენება, რაც 1953 წლის 11 სექტემბერს წარადგინა პუსანში დაზავების მეთვალყურე ნეიტრალური კომისიის საინსპექციო ჯგუფმა. მოხსენებაში ნათქვამია:

1953 წლის 4 სექტემბერს პუსანის № 2 ნავმისადგომში აღმოაჩინეს ყუთები. როცა ჰკითხეს ლეიტენანტ ნდის (ამერიკელი), თუ რა არის ამ ყუთებში, მან უპასუხა, რომ ყუთებში პროდუქტებია, სახელდობრ კონსერვები და სხვ. დოკუმენტების შესწავლის შემდეგ გამოიკვეთა, რომ გემმა, რომელიც 1953 წლის 31 ივლისს მივიდა პუსანში, ჩაიტანა შეფუთული 106 ნაღმსატყორცნის ლულა, 106 ნაღმსატყორცნის ფილა და 106 სამიზნო სამარჯვი. საინსპექციო ჯგუფის მოთხოვნით ერთ-ერთი ყუთი გახსნეს. ყუთში აღმოჩნდა 106,8-მილიმეტრიანი ნაღმსატყორცნის ლულა № 7144252. სხვა ყუთებში აღმოჩნდა ნაღმსატყორცნის ფილები და სამიზნო სამარჯვები.

ე. კაკაბაძე — საქართველოს ჩემპიონი ჭადრაკში

გუშინ თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში საზეიმოდ დაიხურა საქართველოს 1954 წლის ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი.

მაყურებლები კმაყოფილებთან შეხვდნენ საქართველოს ახალგაზრდა ნიჭიერი მოჭადრაკის ელისო კაკაბაძის (მწვრთნელი ოსტატობის კანდიდატი ვ. ქარსელაძე) გამარჯვებას. მან დაუმარცხებლად ჩაატარა შეჯიბრება და რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება მოიპოვა. ე. კაკაბაძემ 14 შესაძლებლიდან შეაგროვა 12,5 ქულა.

დიდი წარმატება მოიპოვა აგრეთვე ჩემპიონატის ახალგაზრდა მონაწილემ ლ. ბაჭაპურიძემ, რომელმაც 10,5 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. ქ. გოგიაშვილ და ლ. ნაჩყებიამ მესამეოთხე ადგილი გაიყვეს. მეხუთე ადგილზე გამოვიდა ე. მარქაროვა.

საქართველოს პირველობის გათამაშებამ ცხადყო, რომ რესპუბლიკაში იზრდება ახალგაზრდა ნიჭიერ მოჭადრაკე ქალთა ძლიერი თაობა.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

თბილისის „დინამოსა“ და მინსკის „სპარტაკის“ შეხვედრა სპორტის მოყვარულთა დიდ ინტერესს იწვევდა. ეს შეჯიბრება გაიმართა „დინამოს“ სტადიონზე 27 მაისს.

პირველმა ორმოცდახუთმა წუთმა მძაფრ ასპარეზობაში განვლო, მაგრამ ბურთის გატანა ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო.

თამაშის მეორე ტაიმში უფრო საინტერესო გახდა. მე-15 წუთზე დინამოელთა ერთ-ერთი იერიშიო ლოლობერიძის დარტყმით და გოლით დამთავრდა. სამი წუთი არც კი იყო გასული, რომ კუთხეურმა გაათანაბრა ინგარიში. 35-ე წუთზე ბალილაშვილმა კოტრიკაძეს და 39-ე წუთზე ეგოროვმა თითო ბურთი გაიტანეს. შეხვედრა დამთავრდა ფრედ 2:2.

მალე ჩემპიონატის მეორე, გადამწყვეტი წრე დაიწყება. თბილისის დინამოელებს მოწინააღმდეგეთა მოედნებზე ჩასატარებელი აქვთ მეტად პასუხსაგები მატჩები. საჭიროა ამ შეხვედრებისათვის სათანადო მომზადება. თავდამსხმელთა ხუთეულის თამაშს კვლავ აკლია მთავარი — კარში დარტყმის სიზუსტე და სიძლიერე. შედარებით სუსტი არიან ჯალოევი და თოდრია. დამცველთა შორის იგრძნობა თვითკმაყოფილება. პირველ რიგში ეს ითქმის ელოშვილზე. უკანასკნელ შეხვედრებში აქტიური არ იყო ანთაძე.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ სათადარიგო მოთამაშეებს. ამ შემადგენლობაზე მეტყველებს მათი სპორტული მაჩვენებლები. დაბალია ახალგაზრდობის დაოსტატების დონე. ძირითადი შემადგენლობიდან მოთამაშეთა დაზიანების შემთხვევაში გუნდს არა ჰყავს სრულფასოვანი შემცვლელი.

ამ მდგომარეობას ყურადღება უნდა მიაქციონ საქართველოს რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა და „დინამოს“ რესპუბლიკურმა საბჭომ.

* * *

მოსკოვი. 27 მაისი. საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდი თამაშობდა გასული წლის ჩემპიონთან, დედაქალაქის „სპარტაკთან“. მატჩის შედეგია 2:1 არმიელთა სასარგებლოდ.

ლენინგრადი. 27 მაისი. აქ გაიმართა შეხვედრა მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და ლენინგრადის „შრომითი რეზერვების“ გუნდებს შორის. შეჯიბრება დამთავრდა ლენინგრადელთა გამარჯვებით 1:0.

ახალი ექსპონატები თელავის მუზეუმში

თელავი (კერძო). [illegible] ფოტოგრაფიული მუზეუმი კვლავ წლიურად ახალი ექსპონატებით [illegible] ეცნობა [illegible] ექსკურსიებზე [illegible] ბარა მის მიერ ნაპოვნი ოქროს მონეტა, რომელიც 4,3 გრამს იწონის. სპეციალისტთა დასკვნით მონეტა ბიზანტიურია და ეკუთვნის 1059-1067 წლებს.

ნინო ნინოშვილმა მუზეუმს გადასცა აბრეშუმის ქსოვილზე დაბეჭდილი გაზეთი „ხმა კახეთისა“. ეს გაზეთი სიღნაღში გამოდიოდა. აბრეშუმზე დაბეჭდილი ეს ეგზემპლარი 1914 წელს გაგზავნილი იყო გაზეთების საერთაშორისო გამოფენაზე პარიზში.

თეთრწყლების სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ იოსებ პატარაშვილმა მუზეუმს ჩაბარა ელექტროსადგურის მშენებლობის დროს მიწაში ნაპოვნი ბრინჯაოს იარაღები, სამკაულები და კერამიკული ნაწარმი.

ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“ № 5

გამოვიდა და ხელმომწერლებს დაურიგდათ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“ № 5.

ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალები: **მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის მასალები.** — ვ. ი. ლენინის გამოუქვეყნებელი დოკუმენტები. **მოწინავე** — იზრდება და მტკიცდება ჩვენი სამშობლოს ძლიერება. კომკავშირი პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის ბრძოლაში. **გ. ნიკოლენკო** — უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის აყვავება. **ლ. გორგილაძე** — კომუნისტური პარტიის ორგანიზაციული საფუძვლები. **გ. ხუციშვილი** — საბჭოთა პრესის დიადი ძალა. **ლექცია და კონსულტაცია.** — **ი. კოდუა** — შრომის ნაყოფიერების გადიდება სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის უმნიშვნელოვანესი პირობა. **პარტიულ თემაზე.** — **ხ. გოდერძიშვილი** — მტს-ის პარტიული ორგანიზაცია ახალ ვითარებაში. **კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.** — **შ. ხანთაძე** — ინგლისელ და თურქ აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიიდან. **ა. მუჯირი** — პოლონეთის მუშათა პარტია ხალხის სამსახურში.

ა. ციმაკურიძის დაკრძალვის მოგმწყობი კომისიის შექმნა

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ შექმნა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორის, მხატვარ ა. გ. ციმაკურიძის დაკრძალვის მოგმწყობი კომისია ამხანაგების ვ. ქიქოძის (თავმჯდომარე), ვ. კუპრავაის, ვ. თოფურიძის, შ. ამირანაშვილის, შ. მამალაძის, გ. ლეონიძის, ა.